პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნოჯ[illegible] რაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., აფიშა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 26 აგვისტო 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 194 (1349)

დღიური

— ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია არ შესდგება.
— მოსკოვში მოფრინდენ იაპონელი მფრინავები.
— საბჭოთა საჰაერო ექსპედიცია შანხაიში ჩაფრინდა.
— გერმანიის მუშათა დელეგაცია ლენინგრადიდან გერმანიაში გაემგზავრა.
— ბულგარეთში ოპოზიცია აპირებს ცანკოვის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას.

ერთი სენის გამო

სოფლად კიდევ ვერ დავაღწიეთ ვი ერთ მავნე სენს, რომელიც ძაან აფერხებს აღმშენებლობითი მაობის ნორმალურ მიმდინარეობას. ლაპარაკობთ „საკუთარ ქოხის“ თვალსაზრისზე, ე. წ. კუთხურ პატრიოტიზმზე.

დავსწარით სოფლის ან თემის როლიც განზავთ კრებას, სადაც ირჩე საკითხი სკოლის თუ კლუბის აგეის, გზების გაყვანის და სხვათა შეხებ.

ტყება ალიაქოთი, დავიდარაბა. ყველას უნდა ასე თუ ის დაწესებულეთავის ეზოსთან იქონიოს. სოფელყოველთვის გამოერევა თითოროლა „თავმომწონე“ და ენალი კაცი, რომელიც თავის კუსაკენ ეწევა სკოლას, ფოსტას, მკითხველოს, კოოპერატივს და სხ. თი პირები მომხრეებსაც პოულობენ და მოსახლეობა იყოფა ჯგუფებად.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არა ვართ ინააღმდეგი აზრთა გაცვლა-გამოცვლის საკითხის გამოსარკვევად. პირიქით, ეს მეტად საჭიროა საქმისთვის და მოწმობს ხალხის დაინტერესებას აღმშენებლობითი მუშაობით, მისი საზოგადოებრივი აქტივობის ზრდას. მაგრამ როცა ამ ხლა-შემოხლას საფუძვლად უდევს თხური და არა მთელი სოფლის თემის ინტერესი,—აი სწორედ ა შეუწყნარებელი. და ასეთი ლენა ხომ ხშირია სოფლად.

ყველაზე დაუშვებელი კი ის არის, რომ ამ კუთხური ფსიქოლოგიის გავლენის ქვეშ ექცევიან აქა-იქ სოფლის კომუნისტებიც და ამ ნიადაგზე მათ შორისაც იბადება გაუგებრობა, უთანხმოება. ამასთან ეს გამოება სცემს მოსახლეობაში მათ ორსებას, მათ მიერ საკითხისადცალმხრივი მიდგომა იწვევს უკმაყოფილებას გლეხობის ფართე სასაში ჩვენი ამხანაგებისადმი. ასევიწრო თვალსაზრისი ხშირად იჩენს თავს აგრეთვე თემის საბჭოსა და აღმასკომში და არა იშვიათად თემის უმაღლესი სახელმწიფორივი ორგანო კუთხური პოლიტიკის გამტარებლად გამოდის. ისიც ება, რომ მაზრის რომელიმე მუკი მიკერძოებას იჩენს თავისი სოფლისადმი და მისი გავლენით იმარჯვებს ამა თუ იმ ჯგუფის თვალსრისი დაწესებულებათა ადგილმდებარეობის და სხვა საკითხებში. ყველაფერი ეს მეტად ართულებს მდგომარეობას, აძნელებს აღმშენებლობითი მუშაობას სოფლად. აქამდე ზოგიერთ შემთხვევაში მიდის ერთი კუთხის მეორეზე გადაკიდებამდე, ცალკე პირების თუ ჯგუფების გადამტერებამდი. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს ასეთ მოვლენებსაც: ვერ შეთანხმდებიან, თუ სად ააგონ რომელიმე დაწესებულების შენობა, სად გაიყვანონ გზა, სად გასდონ ხიდი, და ყველაფერი ეს გაუკეთებელი რჩება. არის ასეთი შემთხვევებიც: მეზობელი, ახლო მდებარე სოფლები ერთმანეთის ჯიბრზე ცალ-ცალკე აშენებენ სახალხო სახლს თუ სხვა რამეს, როცა ეს სრულებით არ არის საჭირო. ამგვარად იქ'აქსება ძალები და საშუალებები. ბოლოს ორივე მხარე წაგებული რჩება. საკუთარი ძალღონით ხშირათ ერთი სოფელი ვერ ერევა დაწყებულ საქმეს და რომ კიდეც დასძლიოს იგი, უმეტეს შემთხვევაში ამას თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ვთქვათ, ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებულმა ორმა სოფელმა ცალცალკე ააგო სახალხო სახლი. მას დამსწრეც საკმარისი არ ეყოლება და არც მომზადებული პირები, რომელნიც წარმოდგენებს გამართავდენ.

კუთხური პატრიოტიზმი ფართედაა მოდებული სოფლად. ამ სენით დაავადებულია მრავალი ადგილობრივი მუშაკი. ცხადია, რომ ამ მახინჯ მოვლენას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

აქ ჩვენს წინაშე ისევ იჭრება პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი. სადაც სუსტია ეს ხელმძღვანელობა, იქ სოფლისათვის საჭირბოროტო საკითხების კუთხურითვალსაზრისით გადაჭრასაც ექნება ადგილი. სოფლად მომუშავე ამხანაგებმა უნდა შესძლონ „ქოხის“ ფსიქოლოგიის უკუგდება და ამაღლება საერთო ინტერესების შეგნებამდე. მათ უნდა დაარწმუნონ მოსახლეობა სად რა უნდა გაკეთდეს, და ამ შემთხვევაში უნდა გამოდიოდენ მთელი სოფლის თუ თემის საჭიროებიდან. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მათ დავიწყებას უნდა მისცენ ცალკე კუთხეების მოთხოვნილებანი. უნდა იქნას შედგენილი აღმშენებლობის მთლიანი გეგმა, სადაც შეთანხმებული იქნება ცალკე მიდამოს და მთელი სოფლის თუ თემის ინტერესები.

სოფლის პირობებში კუთხური პატრიოტიზმის დაძლევა მეტად საჭირბოროტო და გადაუდებელი საქმეა. როგორც ადგილობრივმა ამხანაგებმა, ისე მაზრის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და ამ მხრივ უნდა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელობა.

კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის

ახალმა კურსმა კერძო სავაჭრო პიტალთან დამოკიდებულებაში, ოოპერაციის კომერციულ კონკურენციის ნიადაგზე გადასვლამ და ისევე ფინანსიურ ურთიერთობის მყარებამ თვით სახელმწიფო მწარმოებელ და სავაჭრო ორგანოებს შორის, საბჭოთა კოოპერაცია არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში ჩააყენა.

განსაკუთრებით ძნელი შეიქნა ფლის კოოპერატივის მდგომარეობა. უსაქონლობა, დავალიანება და ყოველდღიური ფინანსიური ხელმოკლეობა საყოველთაო სენათ გაიქცა. იშვიათია კოოპერატივი, რომელიც ამ ნაკლზე არ სჩივოდეს. ამავე დროს ჩვენი მეურნეობა იზრდება ორთავე მხრივ. სწრაფი აღორძინების გზაზეა მრეწველობა და რი ნაბიჯით მიდის წინ სოფლის მეურნეობა. საქონელი გროვდება ერთ და მეორე დარგშიაც, რომელიც მოძრაობას და გაცვლა-გამოცვლას საჭიროებს.

ის სავაჭრო აპარატი, რომელიც ა მოგვეპოვება კოოპერატიულ, სახელმწიფო და კერძო კაპიტალის სახით, დღესაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენის მეურნეობის ნორმალურ განვითარების მოთხოვნილებას. მით უფრო ცუდი მდგომარეობა შეიქმნებოდა მომავალში, თუ საქონლის განაწილება-მიწოდების საქმე ფეხდაფეხ არ გაჰყვა მეურნეობის შეუჩერებლივ ზრდას, თუ ქალაქის და სოფლის პროდუქცია მან მომხმარებელს ვერ მიაწოდა და გასავალი მოუპოვა მას.

ბაზარზე კი ფართეა, მოსახლეობის სყიდვითი უნარი დღითი-დღე ულობს. მაგრამ ამ მდგომარეობით ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო კერძო კაპიტალი სარგებლობს და აგრებს ხერხემალს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოების ხარჯზე.

ომინდელთან შედარებით ვაჭრობა ქველი ნაწილობრივათ შეთხელდა კიდეც, ეს შეთხელება უმთავრესად კერძო კაპიტალს შეეხო, მაგრამ ეს უკვე აშკარაა, რომ ახალ შეღავათიან პირობებში კერძო ვაჭარი თავს წელს იმაგრებს და სერიოზულ კონკურენტად გამოდის ბაზარზე. განსაკუთრებით ემჩნევა მისი ზრდა ქალაქებს.

სოფელს კი კერძო კაპიტალი გაურბის. აქ მას ჯერ კიდევ ძველი ადმინისტრატიული თვითნებობის ეშინია, როცა გასაქანს არ აძლევდენ უთავბოლო საგადასახადო და სხვა უფლებრივ შეზღუდვით.

სოფელი უმთავრესად მიტოვებულია კოოპერაციის, წვრილ მოვაჭრეების და მოსიარულე ჩარჩების ანაბარათ. პირველი თავის უმწეო მდგომარეობით ხშირათ ვერ აკმაყოფილებს გლეხობის ფართე მოთხოვნილებას ქალაქის პროდუქციაზე. კერძო მეწვრიმალე კი, ჯერ ერთი, ვერ აუდის სოფლის საჭიროებას და, მერე, რაც არ უნდა იყვეს, გლეხობის ფართე თვალში სამართლიანად მოკლებულია ნდობას.

ამიტომ გლეხობას ბევრ შემთხვევაში ძალაუნებურათ უხდება კოოპერატივის გვერდის აქცევა. თუ რაიმე გროში მოიგდო ხელში, ის ცდილობს ისევ ქალაქისკენ გამოემგზავროს და მის მრავალსახოვან და მდიდარ ბაზარზე შეიძინოს საჭირო საქონელი.

გარდა იმისა, რომ ეს საზიანოა თვით კოოპერატივისათვის, ამ წასვლა-მოსვლაზე გაღებული ხარჯები ზედმეტ ტვირთად აწვება სოფლის მყიდველს და მას საშუალებას უსპობს შეიძინოს ქალაქის ნაწარმოები შესაფერ რაოდენობით და ხელმისაწვდომ ფასებში ადგილობრივათ.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. უნდა ყოველივე ზომები იქნას მიმართული კოოპერაციის და განსაკუთრებით სოფლის კოოპერატივის გასაჯანსაღებლათ. საჭიროა მისი პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენება, სხვა სახის სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებთან შედარებით.

მართალია უსასყიდლო დახმარებაზე, დაუბრუნებელ კრედიტზე და სუბსიდიებზე ლაპარაკი აქ უადგილოა, მაგრამ ეს სრულიადაც არ უარყოფს კოოპერაციისადმი შესაძლებლობის ფარგლებში ხელის შეწყობას და მის შესაფერისად დახმარებას.

ასეთი შესაძლებლობა კი არის და ის უსათუოდ უნდა იქნას გამონახული.

პარტიულ კოოპერატიულ კომისიის დადგენილება, რომელიც დამტკიცებული იქნა რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის კომიტეტის რეზიდიუმის მიერ, დაწვრილებით იხილავს კოოპერაციის გაჯანსაღების საკითხს და მიუთითებს მთელ რიგ კონკრეტიულ ღონისძიებებზე, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედონ კოოპერატივის გამოცოცხლებას და მის გამომრთელებას.

დადგენილებაში გარკვეულადაა განსაზღვრული კოპერატივებისათვის ესოდენ მწვავე საკითხი კრედიტის შესახებ, ყოველ სახის ფართე მოხმარების საქონელზე ნაჩვენებია კრედიტის განსაზღვრული ვადა.

გარდა ამისა დადგენილების ძალით აღძრულ უნდა იქნას საკითხი საფინანსო ორგანოების წინაშე სათანაბრო გადასახადის სრულ მოხსნის შესახებ, რომელიც დაგროვილია კოოპერატივებზე 1924 წლის აპრილის მიმდინარე წლის აპრილამდე.

ამასთანავე უნდა მიღებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებებისა ამ გადასახადის შესამსუბუქებლათ მომავალში. პირველყოვლისა უნდა შემცირდეს გადასახადის რაოდენობა, კოოპერატივებს უნდა მიეცეთ საშუალება ამ გადასახადების ნაწილ-ნაწილად შეტანის და არა ერთდროულათ, როგორც დღემდი იყო.

გარდა ამისა ის კოოპერატივები, რომელთა თანხის ტრიალი არ აღემატება 40 ათას მანეთს, სრულიად უნდა გაანთავისუფლონ გადასახადისაგან. ამ შემთხვევაში ეს უაღრესი მნიშვნელობის შეღავათი წილათ ხვდება, რა თქმა უნდა, სოფლის კოოპერაციას.

მაგრამ ყოველივე ამ გარედან ხელის შეწყობასთან ერთად საჭიროდ არის მიჩნეული თვით კოოპერაციის შინაგან ვითარების გადასინჯვა, შემოწმება. თავდაპირველად ყურადღებას იპყრობს საქონელზე ზედნართი ხარჯების შეუფერებელი სიდიდე, რომელიც მთავარი მიზეზია კოოპერაციის იდეის გაბახების და მისი პრესტიჟის დაცემის ფართე მომხმარებელ მასის თვალში.

არ შეიძლება, რასაკვირველია, კოოპერაციის ყველა დღევანდელ ტკივილების ცენტრალურ ორგანოების და ჩვენ საერთო მდგომარეობის ხარჯზე მიწერა. აქ უთუოთ დიდი ადგილი უჭირავს კოოპერატიულ აპარატის ბიუროკრატიზმს, მის მიუხრ-მოუხრელობას, ზოგჯერ ბოროტმოქმედებას და საქმის უცოდინარობასაც.

ხსენებულ დადგენილების ძალით უნდა გაძლიერებულ იქნას კოოპერატივების კანტროლი, უნდა გადაისინჯოს ზედნართი ხარჯების საკითხი და საქონლის ღირებულება შეუფარდდეს ბაზრის საერთო პირობებს, იმ აუცილებლობით, რომ კოოპერატივს არსებობის და განვითარების მინიმუმი შემოსავალი მაინც რჩებოდეს.

ამრიგათ კოოპერაციის და განსაკუთრებით მისი სოფლის სექტორის მდგომარეობის საკითხი დღეს ერთ საჭირბოროტო ამოცანათ სდგას ჩვენს სამეურნეო ფრონტზე. მისი დროულათ და მიზანშეწონილათ მოგვარება გარდაუვალი პირობაა სწრაფი აღორძინების გზაზე მდგომ საბჭოთა მეურნეობის წარმატებით წინმსვლელობისათვის.

ა.

იმპერიალისტების ინტრიგები ჩინეთში

ინგლისელების აგენტებმა მოკლეს გომინდანის მემარცხენე ფრთის წევრი ჩენ-ჩუ-ლინი

შანხაიში ინგლისელების მიერ დაქირავებულმა ბანდებმა დაარბიეს პროფსაბჭოს შენობა

მეზღვაურთა კავშირმა შესწყვიტა გაფიცვა იაპონელთა გემებზე

შანხაიში გაიფიცა 3.600 ასოთ-ამწყობი.—შანხაის სავაჭრო პალატის პროტესტი

ახალი მკვლელობა.

პეკინი, 24 აგვისტო. გონკონგიდან მიღებული ცნობის თანახმად მოკლული იქნა გომინდანის მემარცხენე ფრთის კიდევ ერთი წევრი კანტონის პარტიულ ორგანოს რედაქტორი **ჩენ-ჩუ-ლინი.**

ამ მკვლელობას, რომელიც მოხდა გომინდანის მემარცხენე ფრთის ლიდერის—ფინანსთა მინისტრის ლიაო-ჩუნ-კაის მოკვლის შემდეგ, **კანტონის პოლიტიკურ წრეებში ხთვლიან ინგლისელების ცდათ, მოსპონ კანტონის მთავრობა მისი წევრების მოკვლის საშუალებით.**

პროფსაბჭოს შენობის დარბევა შანხაიში.

პეკინი, 24 აგვისტო. ბრბო დაქირავებულ ბანდიტებისა და ხულიგნებისა, ჯოხებით და დანებით შეიარაღებული თავს დაესხა პროფკავშირების საბჭოს შენობას შანხაიში, დაარბია შენობა და დასჭრა საბჭოს 4 წევრი.

შანხაის მუშების წრეები დარწმუნებული არიან, რომ ბანდიტები დაქირავებული არიან ინგლისის აგენტების მიერ.

შანხაის სავაჭრო პალატის პროტესტი.

პეკინი, 24 აგვისტო. შანხაის სავაჭრო პალატამ მიმართა პეკინის მთავრობას დეპეშით, რომელშიაც პროტესტს გამოსთქვამს მუკდენის გენერალ დჟიჩ-ჩი-ლინის შანხაის თავდაცვის კომისრათ დანიშვნის გამო.

მეზღვაურთა კავშირმა დაადგინა შესწყვიტოს გაფიცვა.

პეკინი, 24 აგვისტო. მეზღვაურთა კავშირმა შანხაიში დაადგინა შესწყვიტოს გაფიცვა იაპონიის გემებზე.

კავშირის მიერ მოწვეულ მიტინგზე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუმცა გემების მეპატრონეების პირობები სავსებით ვერ აკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებებს, კავშირმა მაინც გადასწყვიტა ხელი მოაწეროს იმ შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იქნა ორი თვის ბრძოლის შემდეგ. თავმჯდომარემ აგრეთვე განაცხადა რომ ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის გაგრძელებული იქნება. იაპონიის გემების მატროსები—სთქვა მან—ახლავე უნდა დახმარონ იმ ამხანაგებს, რომელნიც განაგრძობენ გაფიცვას ინგლისის გემებზე.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მხარს უჭერს კავშირის მოთხოვნილებას ინგლისის გემების შესახებ და აგრეთვე იწონებს მოწოდებას, რომელიც აძლევს გაფრთხილებას მეზღვაურებს, რომ მათ უფლება აქვთ ხელახლა გამოაცხადონ გაფიცვა, თუ შეთანხმება დარღვეული იქნა.

დახმარება თეთრი ტერორის მსხვერპლთ.

მოსკოვი, 25 აგვისტო. ჩინეთში სისხლისმღვრელ ტერორის გაძლიერების გამო, უკანასკნელ დღეებში „რემედასის“ აღმასრულებელმა კომიტეტმა შანხაის პროფკავშირთა საბჭოს სახელზე გაგზავნა 35.000 დოლარი ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ სისხლისღვრის მსხვერპლთა დასახმარებლად.

გაფიცვა შანხაიში.

პეკინი, 24 აგვისტო. შანხაის სტამბების 3.600 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა და მოითხოვა ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება.

უარის თქმა ელექტრონის ენერგიის მიწოდებაზე.

პეკინი, 24 აგვისტო. იაპონელთა ფაბრიკებში მუშაობის ნაწილობრივ განახლების გამო, იაპონიის და ჩინეთის ფაბრიკანტებმა მიმართეს შანხაის ქალაქის მმართველობას თხოვნით მიაწოდონ ქარხნებს ელექტრონის ენერგია.

ქალაქის მმართველობამ უარი უთხრა მათ და განაცხადა, რომ ენერგიას მიაწოდებს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწყდება გაფიცვა ყველა ფაბრიკებში.

ინგლისელების ფაბრიკებში დაწყებულ გაფიცვის გამო იაპონელების და ჩინელების ფაბრიკები ჯერ-ჯერობით უმოქმედოთ არიან.

მოლაპარაკების შეწყვეტა ინგლისის ელჩთან.

პეკინი, 24 აგვისტო. მოლაპარაკება ადგილობრივ ჩინეთის ხელისუფლების და ინგლისის კონსულს შორის ხანკოუში 11 ივლისს დახოცილ და დაჭრილ ჩინელების ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ, შეწყვეტილია.

ინგლისის კონსულმა, რომელიც უკმაყოფილო დარჩა 750,000 დოლარის გადახდის მოთხოვნით, უეცრად დასტოვა კონფერენცია.

ბოიკოტის გაძლიერება.

პეკინი, 24 აგვისტო „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, ჩინეთის ხელისუფლებამ [illegible] გასაკონტროლებლად გაძლიერებული იქნას ბოიკოტი ინგლისელების წინააღმდეგ.

„რეიტერის“ სააგენტოს ჭორი.

პეკინი, 24 აგვისტო. კანტონში 23 ივნისს დემონსტრანტების დახვრეტის გამო „რეიტერის“ სააგენტო ავრცელებს ცნობებს, რომ თითქოს მისმა კორესპონდენტმა ყური მოჰკრა ორი რუსის შემდეგ საუბარს კანტონში:

„მე თვითონ დავუშინე თოფი შამინს (უ. ხოელების უბანი კანტონში), ივანოვმა გაისროლა თოფი პირველად. ჩვენ 3 კვირა ველოდით ბოროდინისაგან ფულის მიღებას“.

აქაურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში ამ ცნობამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ „რეიტერის“ სააგენტოს ჩინეთის განყოფილება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიის დროს არავითარ ჭორებს არ ერიდება.

მდგო ჩინეთ

ინგლისი და კანტონი

ლონდონი, 24 აგვისტო. დიპლომატიურ წრეებთან ახლო მდგომ პირების აზრით, ინგლისის მთავრობა, კანტონში მომხდარ ამბების გამო, ვერ მიმართავს იარაღს და კომპრომისზე წავა კანტონის მთავრობასთან. ჩინეთის წყლებში მყოფ ინგლისის ფლოტის სარდალი, ადმირალი სინკლერი, რომელიც კანტონში ჩავიდა, რამოდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა ჰონკონგში. ფიქრობენ, რომ ის გაიწვია მთავრობამ.

გაფიცვა იაპონიის გემებზე შეწყდა

პეკინი, 24 აგვ. შესდგა მეზღვაურთა კავშირის და იაპონიის სანაოსნო საზოგადოებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც მიღწეული იქნა შეთანხმება იაპონიის გემებზე დაწყებულ გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

ერთა ლიგის სესიისათვის

სამხრეთ-სლავიის დელეგაცია ერთა ლიგის სესიაზე

ვენა, 24 აგვ. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად გაიმართა სამხრეთ-სლავიის დელეგაციის სხდომა, რომელიც მიემგზავრება ერთა ლიგის შემოდგომის სესიაზე. გარეშე საქმეთა მინისტრმა **ნინჩიჩმა** გააშუქა სამხრეთ-სლავიის პოზიცია ავსტრიის, ჰუნგრეთის და ბულგარეთის მიმართ და აგრეთვე განიხილა საკითხი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

გაზ. „პოლიტიკას“ ცნობით, სამხრეთ-სლავიის დელეგაცია მხარს დაუჭერს ავსტრიისათვის ფინანსიურ დახმარების გაწევას და გაილაშქრებს ჰუნგრეთის მიერ კრედიტების მოთხოვნის წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავიის დელეგაციაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე რადიჩი, რომელიც შეეხება საგარანტიო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე სხვა სპეციალურ საკითხებს.

ომი მაროკოში

ფრონტზე

პარიზი, 24 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, რიფებმა დასტოვეს მთელი რაიონი შეხი-ზერუალი. ელედმიზიენის და ტსულის ტომების ერთი ნაწილი დანებდა ფრანგებს. საფრანგეთის ავიატორებმა ყუმბარები დაუშინეს მოწინააღმდეგის ყველა ღია ადგილებს, უმთავრესად, ბოტლებს და ცეიამს.

ცანკოვის წინააღმდეგ

ვენა, 24 აგვ. საზღვარ გარეთიდან სოფიაში დაბრუნდა ბულგარეთის დემოკრატების ლიდერი ყოფილი პრემიერი მინისტრი მალინოვი რომელმაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ცანკოვის მთავრობასა და ოპოზიციის შორის არსებული „სამოქალაქო მშვიდობიანობის პოლიტიკა“, რომელიც დაიწყო სოფიის ტაძრის აფეთქების შემდეგ, თხოვა გადასინჯოს. მალინოვის აზრით, რეფორმა უნდა მდგომარეობდეს მთავრობის არა ზოგიერთი წევრების გამოცვლაში, არამედ მთელი მთავრობის და მთელი მართვა-გამგეობის სისტემის შეცვლაში. მალინოვი ფიქრობს, რომ მხოლოდ კოალიცია შეიძლება გახდეს პარტიათა შორის შეთანხმების ბაზად. იგი გამოიყვანს ბულგარეთს პარტიულ კინკლაობის მდგომარეობიდან.

უორკერს პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. უორკერს პარტიის ყრილობაზე წარმოდგენილია 40 დელეგატი უმრავლესობის ფრაქციიდან და 21 უმცირესობის ფრაქციიდან. ყრილობამ კომინტერნს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც პირდება ლოიალობას მისი დადგენილებების მიმართ და ფრაქციული ბრძოლის აღმოფხვრას.

პრესა

მტკიცე საძირკველი

საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინების საზომად ჩვენ დღემდე ვიღებდით ომის წინანდელ დონეს. თავის თავად ეს დონე იმდენად დაბალი იყო, რომ იგი, რა თქმა უნდა, არ შეადგენდა მშრომელი მასსების იდეალს. ის მხოლოდ გვიჩვენებდა, თუ როგორ განადგურდა ქვეყანა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შედეგად.

ჩვენი აღორძინება ბოლო ხანებში სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს. **მრეწველობამ** მიაღწია ომის წინა დროის 72 პროც. უკანასკნელ წელში იგი გაიზარდა მთელი 50 პრ. მომავალ სამეურნეო წელში გვექნება უკვე 98 პრ. **სასოფლო მეურნეობამ** მიაღწია 1924—25 წლებში 74 პრ. და 1925—26 წ. მოსალოდნელია მისი გადიდება 25 პრ. მეურნეობის საერთო აღორძინებამ გამოიწვია საკავშირო **ბიუჯეტის** ზრდაც—იგი წარსულ წელთან შედარებით გადიდებულ იქნება 870 მილ. მან., ე. ი. 33 პრ. და უახლოეს დროში გადააჭარბებს 3 ნახევარ მილიარდ მან. გაიზარდა **სამუშაო ხელფასიც:** 1924—25 წლის პირველ ნახევარში საშუალოდ აღწევდა 77 პროც., მეორე ნახევრის ბოლოსთვის უნდა ავიდეს 85—90 პრ. წრევანდელი **4 მილიარდიანი მოსავალი** იქნება მძლავრი ფაქტორი, რომელიც დაჩქარებით წასწევს წინ მთელ ჩვენს მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას.

ჩვენს მეურნეობის ყოველ დარგში უშუალოდ მიუახლოვდით ომის წინანდელ დროს. შექმნილია მტკიცე საძირკველი ფართე სოციალისტური აღმშენებლობისათვის. ახლო მომავალში დავიწყებას მიეცემა ომამდე არსებული მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში ლაპარაკი გვექნება არა იმაზე, რომ გაუსწორდეთ ამ მდგომარეობას, არამედ იმაზე, თუ რამდენად **დავტოვეთ იგი უკან.**

გაზ. „იზვესტია“ ეხება მიღწეულ შედეგებს და დაასკვნის:

„პროლეტარიატის დიქტატურის პირობები, პროლეტარიატის, რომელიც აწყობს და ამაგრებს მუშურ-გლეხურ კავშირს,—იძლევა ყველა შესაძლებლობათ განუწყვეტელი წინმსვლელობისათვის ნამდვილ სოციალისტურ მშენებლობის გზაზე. აღნიშნული სამეურნეო პერსპექტივები საბჭოთა კავშირის წინაშე აყენებენ უაღრესად რთულ ამოცანებს და აკისრებენ მას მეტად მძიმე პასუხისმგებლობას. მოსავლის რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ბაზარზე, ფასების სწორი პოლიტიკის გატარება, ქალაქის და სოფლის სამეურნეო დაახლოვება, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის შემდეგი განვითარება და განმტკიცება, ჩვენი მრეწველობის გადახალისება და მისი წარმართვა ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, კოოპერაციის მნიშვნელობის ამაღლება მთელ ჩვენს სამეურნეო სისტემაში,—ასეთია იმ საკითხების ჯამი, რომელნიც იზრდებიან და რთულდებიან საბჭოთა კავშირის მთელი სამეურნეო ცხოვრების ზრდასა და გაღრმავებასთან ერთად“.

ჩვენი სამეურნეო მიღწევები მიუვალ ციხე-სიმაგრედ ხდიან საბჭოთა კავშირს და თვალსაჩინოდ ადასტურებენ საბჭოთა წყობილების ყველა უპირატესობას. ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტურ მსოფლიოს, რომელიც ცდილობს შეაფერხოს საბჭოთა მეურნეობის განვითარება. ესეც ართულებს ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების განხორციელებას.

„მაგრამ,—სამართლიანად დასძენს გაზეთი,—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მშრომელ მასების კოლექტიური ნებისყოფა იმდენად ურყევია, ხოლო მსოფლიო სამეურნეო-პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ვერავითარი დაბრკოლებები და სიძნელენი ხელს ვერ შეუშლიან საბჭოთა კავშირს, რომელიც დგას ომის წინა დონის საზღვართან, ახალი ძალების მარაგით გაექანოს წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე“.

გერმანიაში

პოეტ ბეხერის დაპატიმრება

ბერლინი, 24 აგვ. გერმანელ მწერალთა ინტერესების დამცველი კავშირის გამგეობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია მგოსან იოჰან ბეხერის დაპატიმრების გამო. რეზოლიუციაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამას წინად ციხეში დაპატიმრებით იქნა დასჯილი დეკლამატორი გერტნერი რევოლიუციონურ ლექსების წაკითხვისათვის. „ეს ფაქტები ნათქვამია რეზოლიუციაში—მოასწავებს ახალი ხანის დასაწყისის ნიშანს, როდესაც გერმანიის რესპუბლიკა ჩააქრობს იდეურ მიმდინარეობას სრულიად არა იდეური სიმკაცრით“. რეზოლიუცია მოუწოდებს ხელისუფლებას ბოლო მოუღოს ამ აუტანელ მდგომარეობას. აღუთქვამს რა დახმარებას ორივე დაპატიმრებულ ავტორებს, რეზოლიუცია მოუწოდებს გერმანიის საზოგადოებრივ აზრს ფხიზლად ეჭიროს თვალი.

კავშირმა გაუგზავნა პროტესტი საიმპერიო იუსტიციის სამინისტროს და საიმპერიო პროკურორს.

სტინესის გაზეთი ახალი პატრონის ხელში

ბერლინი, 23 აგვ. სტინესის კონცერნის გაკოტრების გამო, გაზეთი „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ (სტინესის უდიდესი ორგანო) 3 მილიონ მარკად გაიყიდა კონსორციუმზე, რომლის სათავეში სდგას ქაღალდის ფაბრიკანტი **ზალინგერი** და ნაციონალ-ლიბერალების ყოფილი დეპუტატი რეიხსტაგში **ავგუსტ ვებერი.** კონსორციუმის მიერ გამოშვებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გაზეთის პოლიტიკურ მიმართულებაში არავითარი ცვლილება არ მოხდება. მემარჯვენე პრესა უნდობლად უცქერის გაზეთის ახალ მესაკუთრეებს და აღნიშნავს, რომ ვებერი წამოყენებული იყო დემოკრატიულ პარტიის კანდიდატათ რეიხსტაგის დეკემბრის არჩევნებში.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

გერმანიაში უკმაყოფილო არიან

ბერლინი, 24 აგვ. გერმანიის პრესა გაოცებას გამოსთქვამს საფრანგეთის ნოტის გადაცემის გაჭიანურების გამო. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი“ ილაშქრებს ინგლისის წინადადების წინააღმდეგ საგარანტიო ხელშეკრულების პროექტის შესამუშავებლად ექსპერტთა კონფერენციის მოწვევის და ამ კონფერენციის მუშაობაში გერმანიის მონაწილეობის შესახებ. გაზეთი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ დაძლეულა უთანხმოება ერთა ლიგის წესდების მე-16 პარაგრაფის გარშემო.

საფრანგეთის ნოტა

ბერლინი, 24 აგვისტო. საფრანგეთის ელჩმა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა საპასუხო ნოტა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია არ შესდგება

რეველი, 24 აგვისტო. გამოირკვა, რომ ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია რეველში არ შესდგება, რადგანაც ლატვია და ფინეთი ილაშქრებენ პარიზიდან დაბრუნებულ ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პუსტას წინადადების წინააღმდეგ პოლონეთ-ბალტიის სახელმწიფოების ანტანტის შექმნის შესახებ.

რატომ გადაიდო კონფერენცია

ჰელსინგფორსი, 24 აგვისტო. სარწმუნო ცნობების თანახმად ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო რეველში 25 აგვისტოსათვის, გადაიდო, რადგან ფინეთმა უარი განაცხადა დაემორჩილოს იმ დირექტივებს, რომელიც პარიზიდან ჩამოიტანა ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა პუსტამ.

ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 25 აგვისტო. პროფინტერნმა მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს მოწოდებით გიბნერის, რუტკოვსკის და კნიევსკის, პოლონეთის ჯალათების მიერ დახვრეტის გამო.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ კომუნისტების სიკვდილით დასჯაში ბურჟუაზიას ეხმარებოდა პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელიც აწარმოებდა რამოდენიმე კვირის განმავლობაში საზიზღარ პროვოკაციულ კამპანიას კომუნისტების წინააღმდეგ.

ვარშავის მუშების პროტესტი

ვარშავა, 24 აგვისტო. შესდგა კომპარტიის მიერ მოწვეული მიტინგი. მიტინგის შემდეგ მუშებმა მოაწყვეს მნიშვნელოვანი დემონსტრაცია წითელი დროშებით, რომელზედაც ეწერა: „დიდება გმირებს—გიბნერს, კნიევსკის და რუტკოვსკის“.

პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები. დაპატიმრებულია 20 კაცამდე.

მოლაპარაკება ჩერჩილსა და კაიოს შორის

ლონდონი, 24 აგვისტო. ჩერჩილსა და კაიოს შორის დაიწყო მოლაპარაკება იმ სამხედრო ვალების საკითხის მოგვარების შესახებ, რომელიც საფრანგეთს მართებს ინგლისის; ეს ვალი უდრის 623 მილიონ გირ. სტერლინგს.

ჩერჩილთან თათბირის შემდეგ კაიომ რეიტერის სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა, რომ თათბირს მეგობრული ხასიათი ჰქონდა და ორივე მხარე ცდილობდა შეეთანხმებია თავიანთი თვალსაზრისი.

საბჭოთა მფრინავები შანხაიში

პეკინი, 24 აგვისტო. შანხაიში მიფრენილ საბჭოთა მფრინავებს მიესალმენ წარმომადგენლები საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, პროფკავშირებისა და ჩინეთის თანამდებობის პირნი.

გაერთიანებულ კომიტეტების წარმომადგენლებმა განაცხადეს: „ჩვენ პირველად ვხედავთ მფრინავებს—წარმომადგენლებს იმ ქვეყნისას, რომელმაც თავის ნებით უარი სთქვა უთანასწორო ხელშეკრულებებზე და დახმარებას უწევს ჩინეთის ხალხს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

გერმანიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 25 აგვ. 23 აგვისტოს გერმანიის დელეგაცია გაემგზავრა ლენინგრადიდან გერმანიაში.

მიტინგი სადგურზე

სადგურზე გაიმართა დიდი მიტინგი. ფაბრიკა-ქარხნების დელეგატები გამოცხადდენ დროშებით, პლაკატებით და მისალმებებით.

ამხ. მელნიჩანსკის სიტყვა

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მელნიჩანსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ დელეგატები საბჭოთა კავშირში გატარებულ ექვსი კვირის განმავლობაში დარწმუნდნენ რომ აქ მართლაც განხორციელებულია მუშათა და გლეხთა ძალაუფლება. „გერმანიაში დაბრუნებულ დელეგაციის ანგარიში—სთქვა მან—იქნება პირველი ბომბა, რომელიც ააფეთქებს საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებულ სიცრუეს“.

ფრეიბერგერის საპასუხო სიტყვა

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ფრეიბერგერმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ დელეგატები დარწმუნდენ, რომ ბურჟუაზიული გაზეთების ცნობები სიყალბეა. „გერმანიის პროლეტარიატმა,—განაცხადა მან უნდა წაბაძოს რუსეთის მუშების და გლეხების მაგალითს.

დელეგაციის თავმჯდომარის ამხანაგმა **ბეკმა** გამოსთქვა რწმენა, რომ გერმანიის მუშები მოახდენენ რევოლიუციას, ვინაიდან მათში ცოცხალია კარლ-ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ტრადიციები.

ბოლოს სიტყვები წარმოსთქვეს ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელმა მუშებმა.

იაპონიის სამხედრო წარმომადგენელი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა იაპონიის სამხედრო ატაშეს თანაშემწე—**ბ. იუკიო კაცახარა.**

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს **ბ. იუკიო კაცახარამ** განაცხადა შემდეგი:

— ჩემს ჩამოსვლას ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში არა აქვს ოფიციალური ხასიათი; ის გამოწვეულია მხოლოდ სურვილით გავეცნო საბჭოთა კავშირის და კერძოთ ამიერ-კავკასიის ნამდვილ მდგომარეობას.

ერთი თვის წინათ მე გამოვედი პოლონეთიდან და მივემგზავრები ტოკიოში. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მე მოვასწარი ლენინგრადის და მოსკოვის დათვალიერება, ვიმგზავრე მდ. ვოლგით ქალ. ცარიცინამდე და, ვინაიდან მეტათ დაინტერესებული ვიყავი ამიერ-კავკასიით, ჩამოვედი თქვენს ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს—განაგრძობს ბ-ნი **იუკიო კაცახარა**—რომ ყველგან, სადაც მე მიხდებოდა ჩასვლა, მეტათ მეგობრულათ და გულლიათ მხვდებოდენ. საბჭოთა კავშირის მოსახლეობა განირჩევა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით და მეგობრული დამოკიდებულებით უცხოელებისადმი. ეს მე თვითონ გამოვცადე. პოლონეთში ჩასვლამდე (პოლონეთში კი მე უკვე ორი წელიწადია რაც ვიმყოფები) მე შემოვიარე თითქმის მთელი ევროპა და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ იმაზე უკეთესი მიღება და დამოკიდებულება, როგორსაც მე საბჭოთა კავშირში ვამჩნევდი, არსად არ მინახავს. განსხვავება უცხოელებისადმი დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ერთბაშად საგრძნობი ხდება საბჭოთა კავშირის მოქალაქესთან პირველი შეხვედრისთანავე.

თბილისში **ბ. იუკიო კაცახარამ** დაათვალიერა საქართველოს მუზეუმი და ეროვნული გალერეია. უკანასკნელმა **ბ. კაცახარაზე** მეტათ სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

დღეს ბ-ნი **იუკიო კაცახარა** მიემგზავრება მოსკოვში, საიდანაც სექტემბრის პირველ რიცხვებში გაემგზავრება ხარბინში, იქიდან კი ტოკიოში.

აღმოსავლეთში

იმპერიალისტები აფრიკაში

ბრძოლა, რომელიც ამჟამად სწარმოებს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში იმპერიალისტების წინააღმდეგ, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. ამიტომ ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველებისათვის დამონებული აფრიკის ამ კუთხის მცხოვრებთა და პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა.

მაგრები (ბერბერია) ანუ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკა აერთიანებს რამდენიმე ქვეყანას, რომლებიც მჭიდროთ არიან ერთანეთთან დაკავშირებული მოსახლეობით, ეკონომიური ინტერესებით, ენისა და სარწმუნოების მიხედვით. ჩრდილო-დასავლეთ აფრიკა შესდგება სამი მთავარი ერთეულიდან—მაროკო, ალჟირი და ტუნისი,—12 მილიონი მცხოვრებით.

ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის სიახლოვე ევროპასთან, მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრენი, დიდი ხანია იპყრობდენ ყურადღებას იმპერიალისტური სახელმწიფოებისას, რომლებიც ცდილობდენ ამ კუთხის თავის ხელში ჩაგდებას. მეცხრამეტე საუკუნიდან მთავარ პოზიციებს აქ იპყრობს საფრანგეთი, რომელმაც 1830 წ. დაიკავა ალჟირი, 1881 წ.—ტუნისი, დაბოლოს, მეოცე საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთი შეუდგა მაროკოს დაპყრობას.

მაროკო

მაროკო პოლიტიკურად 4 ნაწილად იყოფა: ა) საფრანგეთის მაროკო, ბ) მაროკოს ესპანეთის ზონა, გ) ტანჟერის საერთაშორისო ზონა, დ) რიფების რესპუბლიკა.

საფრანგეთის მაროკო

ტერიტორია და მოსახლეობა

საფრანგეთის ზონის ტერიტორიას, რომელიც შეადგენს მაროკოს სამხრეთ-ნაწილს, უჭირავს 415.000 კილომეტრი, 5.480.000 მცხოვრებით. მოსახლეობა შესდგება ორი ტომიდან—ბერძნები და არაბები. მათ გარდა მხარეში სცხოვრობს 80000 ევროპიელი და 8000 ებრაელი. ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადის სარწმუნოების მიმდევრებია. მოსახლეობა მისდევს სოფლის მეურნეობას და მეჯოგეობას.

მთავარი ქალაქები

აზემური — —	14.037	მცხ.
ბუიადი — —	6.300	„
კაზაბლანკა —	110.934	ნავთსად.
კონიტრა — —	9.438	„ „
მაზაგანი — —	22.093	„ „
მარაკეში — —	145.000	
მეკნესი — —	38.159	„ „
მოგადორი —	20.309	ნავთსად.
მულან-იდრისი —	9.000	
რაბატი — —	33.714	
საფი — — —	25.806	ნავთსად.
სეფრუ — —	10.000	
ტაზა — — —	5.460	
ტარუნდანტ —	6.000	
ფეც — — —	124.500	

მმართველობის ფორმა

საფრანგეთ-მაროკოს შეთანხმების ძალით (1912 წ. 30 მარტი), მაროკო იმყოფება საფრანგეთის „მფარველობის“ ქვეშ. მართალია მაროკოს თავისი სულთანიცა ყავს და მინისტრებიც, მაგრამ მათ განკარგულებებს არავითარი ძალა არა აქვს, თუ ისინი საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა—მაროკოს ფაქტიურმა მმართველმა არ დაამტკიცა. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ამავე დროს საფრანგეთის ჯარების სარდალიც არის მაროკოში.

თუ დღემდი მაროკოს ამ ნაწილს დამოუკიდებლობის მცირეოდენი ნაშთი შერჩენია, მხოლოდ იმიტომ, რომ მაროკოს სულთანს მინიჭებული აქვს სასულიერო ძალაუფლებაც (იმამატი). ფრანგები მოხერხებულათ სარგებლობენ ამ გარემოებით და ფაქტიურათ მათ ტყვეობაში მყოფ და მათგან ფინანსიურად დამოკიდებულ სულთანს თავის საქმეებს აკეთებინებენ.

ადმინისტრატიულად მაროკო იყოფა 15 ადმინისტრატიულ და 7 სამხედრო ოლქათ.

სახალხო მეურნეობა.

მაროკო — სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. ხელსაყრელი კლიმატიური პირობების წყალობით, მოსავალი აქ ძლიერ დიდი იცის. საკმაოთ განვითარებული მეხილეობაც. ტყეები შესდგებიან მეტად ძვირფას ჯიშებისაგან. მესაქონლეობასაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მადნეულობიდან, საფრანგეთის ზონაში მოიპოება—შავი ქვა, ფოსფატები და აგრეთვე ნავთი.

დამმუშავებელი მრეწველობა სუსტათ არის განვითარებული.

ეს კუთხე საფრანგეთის უდიდეს ბაზარს წარმოადგენს. შემოაქვთ აქ უმთავრესათ: საფეიქრო საქონელი, შაქარი, ჩაი, ღვინოები; გააქვთ—ხორბლეულობა, კვერცხები, მატყლი.

ფულის ერთეული.

ფულის ერთეულს აქ წარმოადგენს მაროკოს ფრანკი, რომელიც უდრის ფრანგულს (37 ნახ. კაპ.).

პოლიტიკური პარტიები.

პოლიტიკური პარტიები საფრანგეთის ზონაში არ არსებობენ. არიან მხოლოდ საფრანგეთის მომხრეთა მცირე-რიცხოვანი ჯგუფები და საფრანგეთის მორჩილი სულთანი, რომლებიც გავლენით არ სარგებლობენ. მოსახლეობა მეტად მტრულად არის განწყობილი დამპყრობლებისადმი და თანაგრძნობით უცქერის რიფების აჯანყებას.

მთავრობა.

არსებობს საოკუპაციო და ადგილობრივი ხელისუფლება. პირველის მეთაურია მარშალი ლიოტე, რომელიც ფაქტიურად განაგებს მაროკოს. ადგილობრივ ხელისუფლებას სათავეში უდგას სულთანი (მულაი იუზეფ) რომელსაც ყავს თავისი მთავრობა (4 ვეზირი). მაგრამ ადგილობრივი მთავრობა არავითარი უფლებებით არ სარგებლობს. ადგილობრივი მთავრობის განკარგულებები წინასწარ დამტკიცებული უნდა იქნენ საფრანგეთის უმაღლესი კომისარის მიერ.

სხვადასხვა

— **ყოფილი რეიხსკანცლერი ვირტი** გერმანიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ცენტრის პარტიიდან გამოვიდა.

— **ჩქარი მატარებლების დაჯახება.** ქალაქ სამის (საფრანგეთი) ახლო ორი ჩქარი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. 20 კაცი დაიჭრა, 3 მოკლულია.

— **პოლიტიკურ პატიმართა სიმშილობა.** 8 სამხრეთ-სლავიელმა კომუნისტმა, რომლებიც დაპატიმრებული იყვენ, რემედასის სასარგებლოთ მუშაობისათვის, სიმშილობა გამოაცხადა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გლეხები მადლობას უხდიან საბჭოთა ხელისუფლებას

ტამბოვი, 25 აგვისტო. ლივადიიდან და ყირიმის სხვა კურორტებიდან დაბრუნდა 98 გლეხი. ისინი თავის წერილებში მადლობას უხდიან საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც საშუალება მისცა მათ დაესვენებიათ და ენახათ ის ადგილები, სადაც წინად მეფეები ცხოვრობდენ.

ნავთის კოქსი

მოსკოვი, 25 აგვისტო. „გროზნავთის“ ლაბორატორიაში მოახდინეს ცდები ნავთის კოქსის მისაღებად. კოქსის ნიმუში გაიგზავნა ანალიზისათვის სათბობ მასალათა ტეხნიკურ ინსტიტუტში.

ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დახვრეტის 10 წლის თავი

ივანოვო-ვოზნესენსკი 25 აგვ. 23 აგვისტოს შესრულდა 10 წელი ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დახვრეტის დღიდან. მუშები დახვრეტილი იქნენ 1915 წ. ეკონომიურ გაფიცვის დროს.

10 წლის თავზე გაიმართა მიტინგი ძმათა სასაფლაოზე, სადაც დამარხულია 29 მუშა. მიტინგის დამთავრების შემდეგ საძირკველი ჩაეყარა დაღუპულთა ძეგლს.

სმირნოვის საქმე.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 25 აგვისტო. დამთავრდა ყოფილ პოლკოვნიკის სმირნოვის საქმე, რომელიც ხელმძღვანელობდა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დახვრეტას 1915 წელს.

სასამართლომ დაამტკიცა, რომ სმირნოვს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან და მან მოაწყო მუშების დახვრეტა.

სმირნოვს მიესაჯა დახვრეტა.

წყალდიდობა

ირკუტსკი, 25 აგვისტო. განუწყვეტელ წვიმების გამო მდინარე ბირიუსა, რომლის გასწვრივ მდებარეობს ოქროს მადნები, გადავიდა ნაპირებიდან.

დანგრეულია ჯებირები და წაღებულია ხიდები.

ქროს შემოსვლა ნახევრად შემცირდა

ელექტრობანკი

მოსკოვი, 25 აგვისტო. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე ელექტრობანკისათვის ძირითადი თანხის გადიდების შესახებ 10 მილიონი მანეთის აქციების გამოშვებით.

ოსმალეთში სპეციალისტ-მებამბეთა წარგზავნა.

მოსკოვი, 25 აგვისტო. საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის ოსმალეთის ბამბის გამოყენების შესაძლებლობის გამოსარკვევად, ოსმალეთში იგზავნება განსაკუთრებული კომისია სპეციალისტ-მებამბეთა შემადგენლობით.

პურის გადატანა ვოლგაზე

სარატოვი, 25 აგვისტო. „გოსფლოტს“ განზრახული აქვს გადაიტანოს ვოლგით 1925—26 წელს 10 მილიონი ფუთი პური. ამ რაოდენობის ნახევარი გადატანილი იქნება მიმდინარე ნაოსნობის განმავლობაში. სარატოვის გუბერნიიდან ვოლგით გადაზიდული იქნება 2.400.000 ფუთი პური.

იაპონელი მფრინავები მოსკოვში

საზეიმო შეხვედრა

მოსკოვი, 25 აგვისტო. 23 აგვისტოს მრავალი დაბრკოლებების გადმოლახვის შემდეგ მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის საჰაერო ექსპედიცია.

ტროცკის სახელობის ჰაეროდრომზე მას შეეგება დიდძალი ხალხი. იქავე დაესწრო იაპონიის ელჩი ტანაკა მთელი კოლონიით, საგ. საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი თავისი თანამშრომლებით, საჰაერო ძალების უფროსი და მრავალ სახელმწიფო და საზ. ორგანოების წარმომადგენელნი.

ექსპედიციის მოახლოვებისას მათ შესახვედრათ გავიდა 17 თვითმფრინავისაგან შემდგარი ჩვენი ესკადრილია.

სტუმრების პატივსაცემათ გამართულ მიტინგზე პირველი სიტყვით მიმართა შეხვედრის კომისიის თავმჯდომარე—ამხ. ავინოვიცკი. შემდეგ—საჰაერო ძალების უფროსი—ამხ. ბარანოვი.



მარცხნიდან მარჯვნივ: **ქ. ავაუჩი** (მფრინავი), **ს. კატაგირი** (მექანიკოსი), **ხ. სინოხარა** (მექანიკოსი), **ჰ. აბე** (მფრინავი).

ზევით: გადაფრენაში მონაწილე ერთ-ერთი ჰაეროპლანი

შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. ლიტვინოვი, რომელსაც დიდის ტაშისცემით ეგებება ხალხი. მან ილაპარაკა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრულ ურთი-ერთობის განმტკიცების აუცილებლობაზე.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა იაპონიის ელჩი—ტანკა. მანაც აღნიშნა იაპონია-საბჭოთა მეგობრობის განვითარება და სთქვა, რომ საბჭოთა ავიატორებსაც ისეთივე პატივითა და ზეიმით დაუხვდებიან ტოკიოში როგორც იაპონიის ავიატორებს დაუცხვდენ მოსკოვში.

შემდეგ გაზეთ „ასახის“ წარმომადგენელმა წაიკითხა იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტის **კატოს** მოლოცვა, რომელსაც ეს გადაფრენა მიაჩნია ნამდვილ თავდებათ იაპონია-საბჭოთა მეგობრობის უფრო მეტათ განმტკიცებისათვის.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა იაპონელი ავიატორი **აბე.** მას მთელი ხალხი შეეგება „ბანზაის“ ძახილით. მან გამოსთქვა აღფრთოვანებული მადლობა ასეთი გულწრფელი მიღებისათვის, რაც უეჭველათ ხელს შეუწყობს მომავალში ამ ორ ქვეყნის უფრო მეტათ დაახლოვებასო.

მიტინგის შემდეგ გადაღებულ იქნა რამოდენიმე ფოტ. სურათი იაპონელი ავიატორებისა.

იაპონელი ავიატორები გადაფრენის შესახებ

მოსკოვი, 25 აგვ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს იაპონიის ავიატორებმა გაუზიარეს თავიანთი აზრი ტოკიო-მოსკოვის გადაფრენის შესახებ.

„პირველი დაბრკოლება შეგვიხვდა ჩიტასა და ირკუტსკს შორის, სადაც გრძელ მთაგრეხილებზე გვეხდებოდა ბრძოლა ჰაერის ძლიერ დენასთან. არც ბაიკალზე დაგვადგა კაი დღე წვიმებისა და ქარიშხლის გამო.

„ნოვო-ნიკოლაევსკისა და კრასნოიარსკის შორის ისეთი ბურუსი იყო, რომ 30 მეტრის სიმაღლეზე მოვფრინავდით და ორჯერ იძულებულიც ვიყავით ძირს დავშვებულიყავით.

„შემდეგ 1200 კილომეტრის მანძილზე საუცხოვო გზა იყო, ნისლიანი ამინდის გამო ყაზანიდანაც დაგვაგვიანდა გამოსვლა.

„ტოკიოდან მოსკოვამდის ჰაერში ჩვენ დავყავით სულ 71 საათი, ნაცვლად 65 საათისა“.

მფრინავები აღტაცებული არიან იმ გულითადი შეგებებით, რომელიც მოსკოვის მშრომელებმა გამოიჩინეს მათდამი.

საჩუქარი ამხ. კალინინს

იაპონელმა მფრინავებმა ამხ. კალინინს ძღვნათ მოართვეს იაპონური აბრეშუმის ნაქარგი, რომელზედაც გამოხატულია იაპონიის ცნობილი მთის ფიუძი-იამას სურათი.

საკავშირო ავტო-გადარბენა

იზიუმი, 25 აგვისტო. 24 აგვისტოს ავტოგადარბენაში მონაწილე მანქანებმა გაიარეს იზიუმზე და ჩავიდენ სლავიანსკში.

არტემიევსკი, 25 აგვისტო. მანქანები ჩავიდენ არტემიევსკში რამდენიმე საათით წინ ვადამდე.

უცხოელ პედაგოგების მოლოდინში

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირმა მიიღო უცხოელ მასწავლებელთა ექსკურსიის მიღების გეგმა.

უცხოელ პედაგოგების ექსკურსია 25 კაცის შემადგენლობით თბილისში ჩამოვა 29 აგვისტოს და აქ დარჩება ორი დღე.

საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობის დროს ექსკურსანტები დაათვალიერებენ საბავშვო სახლებს დუშეთში, მცხეთაში კი ისტორიული მნიშვნელობის შენობებს. ამავე დროს ექსკურსანტები დაათვალიერებენ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურს.

თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეს განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება სპეციალური საღამო-კონცერტი ნაციონალური მუსიკის და [illegible].

მეორე დღეს დილით განათლების მუშაკთა სახლში შესდგება საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის სხდომა ადგილკომებთან ერთად, რომელზედაც ექსკურსანტებისათვის წაკითხული იქნება მოხსენება კავშირის მუშაობის შესახებ.

ნასადილევს ექსკურსანტები გაემგზავრებიან კოჯორში, სადაც გაეცნობიან საბავშვო სახლებს და ბაღებს.

მესამე დღეს უცხოელი ექსკურსანტები დაათვალიერებენ თბილისის კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს და წარმოებებს (სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუზეუმი, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები და სხვა).

უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია ხარკოვში

ხარკოვი, 25 აგვ. უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციამ ინახულა პეტაგოგიური საცდელი სადგური, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დელეგატებზე.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სადაც გაეცნო ინსტიტუტის საცდელ ლაბორატორიებს და სამეცნიერო კაბინეტებს. დელეგატების განცხადებით—ეს ინსტიტუტი არაფრით არ ჩამორჩება საზღვარ-გარეთ არსებულ ინსტიტუტებსო.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს დელეგატებმა განაცხადეს, რომ იმათ ყველაზე მეტათ ჰხიბლავს საბჭოთა სწავლა-განათლება; **„საბჭოთა ხელისუფლება, პირველყოვლისა, ადამიანში ეძებს საზოგადოების სასარგებლო წევრს. ბურჟუაზია კი ადამიანში ჰხედავს მხოლოთ მასალას კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ მფლობელობის განსამტკიცებლათო“.**

კიდევ რამდენიმე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა დათვალიერების შემდეგ დელეგაცია გაემართა მის პატივსაცემათ გამართულ მიტინგზე.

მიტინგი

მიტინგზე დიდძალ მასწავლებლებს მოეყარათ თავი. უკრაინის მასწავლებლობის სახელით დელეგაციას სიტყვა უთხრა ამხ. **მიზერნიცკიმ.**

დელეგაციის საპასუხო სიტყვით გამოვიდა კომუნისტი—აურლენდერი. მან სთქვა, რომ მომავალი საზოგადოების შექმნაში ჩვენ ბევრი რამ გვესწავლება საბჭოთა კავშირისაგან და ამის შესახებ კიდევაც გავუგზავნეთ შესაფერი დეპეშა მასწავლებელთა ინტერნაციონალს—პარიზში.

ილაპარაკა დელეგაციის თავმჯდომარე **დასკელმაც.**

ამ საზეიმო მიტინგის შემდეგ გაიმართა განათლების მუშაკთა ცენტ. გამგეობის სხდომა დელეგატებთან ერთად. დელეგატები გაეცვნენ პროფმუშაობას განათლების მუშაკთა შორის. სიტყვებით გამოვიდენ ამხ. მიზერნიცკი და უკ. განათ. სახ. კომისრის მოადგილე—რიაპპო.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ საქსონიის ყოფ. განათ. მინისტრი—მუშათა მთავრობაში—აუსლენდერი მასწავლებელი—ტენნერი, შმიდტი, იანოში, დიუფური, დასკელე და სხვა.

გერმანიის ბურჟუაზიის შურისძიება

დელეგაციის წევრმა აუსლენდერმა კრებას აუწყა, რომ გერმანიიდან მიიღო ცნობა ტიურინგიისა და საქსონიის 4 დელეგატ-მასწავლებლის დათხოვნის შესახებ, რადგან იგინი გამოდიოდენ მიტინგებზე საბჭოთა კავშირში.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემა გლეხებისათვის

მოსკოვი, 25 აგვისტო. ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული მოხსენება განსაკუთრებული კომისიისა გლეხებისათვის ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემის შესახებ.

ცეკას დადგენილება დადებითად სჭრის საკითხს გლეხებისათვის ტყის არეს გადიდების შესახებ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფის საშუალებით.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყის ფონდში სავსებით გადადის გლეხთა ყოფილი ტყეები. გლეხთა ყოფილი ტყეები შეიძლება დარჩეს საერთო სახელმწიფოებრივ ტყეების ფონდში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მაგრამ ამავე დროს ამ ტყეების ნაცვლად გლეხებს მიეცემათ იმავე ღირებულების ტყეები. გლეხებს მიეცემათ აგრეთვე ყოფილ მემამულეთა კერძო მესაკუთრეთა, საეკლესიო და სახაზინო ტყეები, თუ უკანასკნელი შეჭრილია გლეხთა მიწებში და ხელს უშლის გლეხური მეურნეობის წარმოებას.

სოფლის მცხოვრებთათვის გლეხობის ყოფილ ტყეების გადაცემა უნდა დამთავრდეს 1925 წ. ოქტომბრამდე.

შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა იმავე კომისიის მიერ გამომუშავებელი წესი სოფლის მცხოვრებთათვის საწვავი მასალის მიწოდების შესახებ.

მცირე ტყეებიან და უტყეო რაიონებში ტყის მოჭრის უფლება უნდა მიენიჭოს პირველ რიგში გლეხობას. გარდა ამისა უნდა იქნას შემოღებული ტყეების მიცემა სოფლის მცხოვრებთათვის ნისიად ნაწილ-ნაწილ გადახდით. სოფლის მცხოვრებთათვის საწყობებიდან ტყის პროდუქციის გაცემა უნდა ხდებოდეს როგორც ნაღდ ფულად ისე ნისიად ნაწილ-ნაწილი გადახდით, ამასთანავე ღარიბ გლეხობისათვის გაადვილებული უნდა იყოს ტყის შეძენა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ყინულის ქარხანა

ჭიათურა, 25 აგვისტო. კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ აამუშავა ყინულის ქარხანა, რომელიც უმოქმედოთ იდგა 1913 წლიდან. ყინული, უმთავრესათ, ხმარდება ქალაქის საავადმყოფოს საჭიროებებს.

ახალი ხიდის აგება

ჭიათურა, 25 აგვისტო. აღმასკომმა გადასდო 18 ათასი მანეთი 1922 წლის წყალდიდობის მიერ წაღებულ ხიდის აღსადგენათ. ხიდის აგება დაიწყება გაზაფხულზე.

საბინაო აღმშენებლობა

ჭიათურა, 25 აგვისტო. კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ წინადადება მისცა საზოგადოება „საქართველოს მარგანეცს“ წარადგინოს ცნობა, თუ რამდენი მიწის ნაკვეთები დასჭირდება მას საბინაო აღმშენებლობისათვის. დაჩრენილი თავისუფალი მიწები მიეცემა კერძო პირებს.

აფხაზეთი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქართული წიგნების გავრცელების საქმე.

აფხაზეთის განათლების კომისარიატმა თავის კოლეგიის სხდომაზე დაადგინა, აფხაზეთის წიგნის მაღაზიასთან გახსნას, ქართული წიგნის მაღაზიის განყოფილება.

ქურდობის გახშირება.

კოდორის მაზრაში, სოფ. ბესლახუბაში, კვლავ გახშირდა ქურდობა რაც ანადგურებს გლეხობის მეურნეობას და ოჯახებს.

ამ ქურდობის წყალობით, გლეხები ცილდებიან სამუშევრებს.

დახმარება გლეხებს.

წასულ კვირაში სოფ. წითელი ბესლეთის გლეხებმა თავიანთ წარმომადგენლების საშუალებით შუამდგომლობა აღძრეს აფხაზეთის სახკომსაბჭოს წინაშე, რათა მიეცეთ სიმინდის არმქონე გლეხებისთვის სიმინდი. სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გადასცა გლეხებს 1500 მან. სიმინდის შესაძენათ.

საავადმყოფოს გახსნა.

სოფ. აძიუბჟაში, აფხაზეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ გახსნა 10 საწოლით საავადმყოფო. ამასთანავე მან იქ იჯარით აილო ჩამორთმეული წისქვილი.

მგლები.

სოფ. აბლარხუკში გამოჩნდენ მგლები, რომლებმაც გაიტაცეს თორმეტი სული საქონელი, დაასახიჩრეს რვა. მგლები საქონელს დღისითაც კი ესხმიან.

ოჩემჩირეს ნავთსადგური.

კოდორის მაზრის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარიატის წინაშე, რათა გადადებულ იქნეს თანხა ოჩემჩირის ნავთსადგურის ასაშენებლათ და ათი საჟენით გასაგრძელებლათ.

ათხაზი.

სახელმწიფო მრეწველობა და კოოპერაცია

(ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის კოოპერატიულ კომისიის დადგენილება, დამტკიცებული რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ).

1. საქონლის ფაქტიურ ბრუნვასა და კრედიტების ვადის შორის სწორი შეფარდების დაწესების მიზნით, სახელმწიფო მრეწველობასა და კოოპერაციის წარმომადგენელთა შეთანხმების თანახმად, საჭიროთ იქნას აღიარებული კოოპერაციაზე საქონლის განისიავების შემდეგი პირობების შემოღება:

ა) **მანუფაქტურა**—კრედიტის ვადა ქალაქისათვის საშუალოთ 45 დღე, სოფლისათვის 60 დღე; რკინის გზის მაგისტრალის მახლობლათ მდებარე სოფლებისათვის კრედიტების ვადათ დაწესებული იქნას 50 დღე. საქონლის გაცემის დროს ბეს რაოდენობა განისაზღვროს 25 პროცენტით.

ბ) **სილიკატები.** ბეს ჯამი საქონლის გაცემის დროს 10 პროც. და კრედიტის ვადა 3 თვე.

გ) **ასანთი**—ბეს ჯამი შემკვეთელის მიერ საქონლის ფაქტიურად მიღების მომენტიდან—25 პროც., კრედიტის ვადა ქალაქებისათვის 75—90 დღემდე და პერიფერიისათვის—90—105 დღემდე.

დ) **შაქარი**—ბე 1 ვაგონამდე გაცემის დროს 15 პროც., 1 ვაგონის და მეტის—10 პროც., კრედიტის ვადა ქალაქისათვის 20 დღე, სოფლისათვის—30 დღე, იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს შაქრის ტრესტის მთავარი საწყობები, კრედიტის ვადა 30 დღე ქალაქისათვის და 40 დღე სოფლისათვის.

ე) **პურის პროდუქტები**—(ფქვილი) ბე 25 პროც., კრედიტის ვადა ქალაქებში, სადაც არსებობს მთავარი საწყობები,—15 დღე, სოფლებში —30 დღე.

ვ) **ლითონის ნაწარმოები**—დატოვებული იქნეს არსებული პირობები.

ზ) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს კოოპერატიული კომისიის მორიგი თათბირისათვის წარმოადგინოს კოოპერაციისათვის მარილის, ნავთის და ხორბლის მიცემის პირობების პროექტი.

2) კოოპერაციისათვის ნასყიდობის ფასებზე დამატებათა საკითხის საბოლოოთ გამოსარკვევად და კოოპერაციის ზედნადები ხარჯების დეტალურად შესასწავლად არჩეული იქნას კომისია ამხ. ამხ ბალტინის, გამყრელიძის, სემკოვის, კაცენელსონის და ხუმარიანის შემადგენლობით. კომისია უნდა მოიწვიოს ამხ. გამყრელიძემ; კომისიის მუშაობის ვადა 3 კვირა.

კომისიას ევალება:

ა) კოოპერატიულ ორგანიზაციების ყველა სამეურნეო პროცესების შესწავლა;

ბ) ზედნადებ ხარჯების დეტალების და მათი გამოანგარიშების მეთოდების გამორკვევა—გამორკვეული უნდა იქნას ზედნადებ ხარჯების სიდიდის მიზეზები და რა ზომებია საჭირო ზედნადებ ხარჯების ნორმასთან დასაახლოვებლად;

გ) გამოარკვიოს ფასების განსხვავება კერძო ბაზარსა და კოოპერაციას შორის.

დ) სისწორით განსაზღვროს მაზრის კონიუნქტურით დასაშვები უმაღლესი შეფასება მოსაწესრიგებელ საქონლის ჯგუფის მიხედვით და საფუძვლად დაუდოს ამიერ-კავკასიის პირველად კოოპერატივების ნამდვილი საშუალო ზედნადები ხარჯები და კოოპერატიული ვაჭრობის წაუგებლობის პრინციპი;

ე) შეადაროს ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ზედნადები ხარჯები საბჭოთა კავშირში საშუალო ნორმად მიღებულ ზედნადებ ხარჯებთან.

3. ამიერ-კავკასიის კოოპერაციის სათამასუქო დავალიანების მოსაწესრიგებლად ვალების დაფარვის უკანასკნელ ვადათ ჩაითვალოს:

ა) ყველა სისტემათა პირველად ქსელისათვის 25 აგვისტო;

ბ) სამომხმარებლო საზოგადოებათა საკავშირო ცენტრებისათვის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთათვის—1 სექტემბერი;

გ) სახელმწიფო ვაჭრობისათვის—25 აგვისტო.

აღნიშნულ ვადების შემდეგ ვადაგასული და გამოუსყიდავი თამასუქები აუცილებლათ უნდა იქნას გასაჩივრებული სათამასუქო წესდების მომქმედ დებულებათა დაცვით (ამხ. დუმბაძის მიერ შეტანილმა შესწორებამ წარმოკავშირისათვის 15 სექტემბრამდე ვადის გაგრძელების შესახებ კოოპერატიულ კომისიის 10 წევრიდან მიიღო 5 ხმა.)

4. სახელმწიფო მრეწველობასა და კოოპერაციის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხის დასამუშავებლათ რ. კ. პ. ცეკას დადგენილების მიხედვით არჩეული იქნას კომისია ამხ. ამხ. ბალტინის, ცაგარელის, ანდრეევიჩის, კაცენელსონის და გამყრელიძის შემადგენლობით. კომისიას იწვევს ამხ. გამყრელიძე.

5. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ერთი თვის ვადაში გაიაროს ამიერ-კავკასიის ყველა ინსტანციები მასალების დასამუშავებლად საკავშირო საბჭოში შემდეგი შუამდგომლობის აღძვრის მიზნით:

ა) ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ყველა სახის (გარდა საკრედიტოსი) სრული განთავისუფლება გამათანასწორებელი გადასახადისაგან 1924 წ. აპრილი-ოქტომბრის და 1924 წ. ოქტომბერ—1925 წ. აპრილის პერიოდისათვის.

ბ) კანონმდებლობის გზით გამათანასწორებელ გადასახადების განაკვეთის შემცირება და დაბეგვრის საშუალების გამარტივება;

გ) საჯარო ვაჭრობის საგნების კლასიფიკაციის მაქსიმალურად შემცირება (დამტკიც. ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ 1925 წ. 25 ივლისს).

დ) მუშებისათვის კრედიტების მიცემის სავაჭრო ბრუნვათა განთავისუფლება გამათანასწორებელ გადასახადისაგან;

ე) საპატენტო და გამათანასწორებელი გადასახადების განაკვეთის შემცირება 50 პროც.-ით ნაცვლად 25 პროც.-ისა პირველად კოოპერატივების ზოგიერთ კატეგორიების მიმართ სოფლებში და ქალაქებში.

ვ) გამათანასწორებელი გადასახადის შეტანა კვარტალების მიხედვით.

ზ) გამათანასწორებელ გადასახადისაგან იმ კოოპერატივების განთავისუფლება, რომელთა ბრუნვა 40.000 მანეთზე ნაკლებია.

6. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური საკავშირო ორგანიზაციების ფრაქციებს დაუყოვნებლივ წარადგინონ ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირში სარევიზიო მუშაობის გეგმა—1925-26 სამეურნეო წლის საორიენტაციო და 1925-26 სამეურნეო წლის პირველი კვარტალის ნამდვილი გეგმა.

აუცილებლათ იქნეს ცნობილი 1925-26 სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ქსელის არა ნაკლებ 50 პროცენტის გამოკვლევა, რევიზიისათვის თვალყურის დევნების მიზნით წინადადება მიეცეს საკავშირო ორგანიზაციებს სასწორით დაიცვან უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს № 37 დადგენილების მე-7 მუხლი ოქმების ასლების თავის დროზე წარდგენის შესახებ ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირში და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

7. აუცილებლათ იქნეს ცნობილი სისწორით შესრულება რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებისა ა/წ. 8 ივნისის თარილით სავალდებულო რევიზიის კანონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე გავრცელების შესახებ.

წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერ-კავკასიის ბიუროს, რომელიც ეხლა არსდება, მისი შექმნიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ წარმოადგინოს სათანადო პროექტი დადგენილებისა სავალდებულო რევიზიის შესახებ.

8. რ. კ. პ. (ბ) ცეკას 8 ივლისის დადგენილების და რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 8 მაისის დადგენილების შესასრულებლათ, მიღებული იქნეს ამიერ-კავკასიაში კოოპერატიული საბჭოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ კავკასიის ბიუროს შექმნის შემდეგი კალენდარული წესი:

ა) რესპუბლიკანური კოოპერატიული საბჭოები შექმნილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 1925 წლის 15 სექტემბრისა.

ბ) ამიერ-კავკასიის კოოპერატიული საბჭო—არა უგვიანეს ამა წლის 1-ლი ოქტომბრისა.

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერ-კავკასიის ბიურო შექმნილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 1925 წლის 10 სექტემბრისა. პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერ-კავკასიის ბიუროს შექმნისათვის დაეკისროს წარმოკავშირის გამგეობის ფრაქციას.

დ) თვალყურის დევნება ამ დადგენილების შესრულებისათვის დაევალოს სათანადო პარტკომებთან არსებულ კოოპერატიულ კომისიებს.

9. ა) ეთხოვოს რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ მან განსაკუთრებული წერილით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების სახელზე წინადადება მისცეს სათანადო ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შინა-მრეწველობის სარეწაოების და შინა-მრეწველობის კოოპერაციის განვითარებას.

ბ) წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომიტეტებს ორი კვირის განმავლობაში შექმნან შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროები რესპუბლიკანური მასშტაბით, რომლებსაც უნდა დაევალოს პირველი საფეხურის—შინა-მრეწველობის კოოპერაციის უჯრედების მოწყობა ადგილებზე.

გ) ასეთი უჯრედების საკმაო რაოდენობის დაარსების შემდეგ საორგანიზაციო ბიუროები უნდა გადაკეთდენ სასარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებათ მმართველობის არჩეული ორგანოებით.

დ) შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს კანონმდებლობითი წესით უნდა მიენიჭოს იურიდიული პირის უფლება.

ე) აუცილებელ საჭიროებათ იქნეს ცნობილი სპეციალური სესხის მიცემა შინა-მრეწველობის კოოპერაციისათვის ადგილობრივ რესპუბლიკანურ წყაროებიდან. საორგანიზაციო ბიუროს უნდა გადაეცეს გრძელვადიანი სახელმწიფო სესხი იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია სასარეწაო კოოპერაციისათვის.

საორგანიზაციო ბიუროების დაარსების შემდეგ ცალკე უწყებებთან (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, ს. მ. უ. ს.) შეიძლება დარჩეს განსაკუთრებული ორგანოები, რომლებსაც უნდა დაეკისროს მხოლოდ საორგანიზაციო - საინსტრუქტორო და მომწესრიგებელი ფუნქციები შინა-მრეწველობის დარგში; მათ არ უნდა ჰქონდეთ სამეურნეო ფუნქციები.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ ცენტრალურ კომიტეტებთან არსებულ კოოპერატიულ კომისიებს შეიმუშავონ კონკრეტიული ღონისძიებები დახმარების გასაწევად შინა-მრეწველობის კოოპერაციისათვის; ამასთანავე ეს ღონისძიებები შეფარდებული უნდა იქნეს ადგილობრივ პირობებთან. ამ კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე ამ ღონისძიებების განხორციელებას.

წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომიტეტებთან არსებულ კოოპერატიულ კომისიებს ყოველთვიურათ არა უგვიანეს 5 რიცხვისა გაგზავნონ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის კოოპერატიულ კომისიაში იმ თვიური მუშაობის ანგარიში, რომელიც შესრულებული იქნა შინა-მრეწველობის კოოპერაციის დარგში.

პარტიული ცხოვრება

ერთი საკითხის გამო

ზოგჯერ პარტიული ამხანაგები ერთგვარ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, როცა პარტია მათ ხსნის ამა თუ იმ თანამდებობიდან და მათ მაგიერ უფრო შესაფერის პირს, თუ გინდ უპარტიოსაც გზავნის. უკმაყოფილება ამ შემთხვევაში გაუგებრობის შედეგათ უნდა ჩაითვალოს.

შეიძლება ამა თუ იმ ამხანაგს მდიდარი რევოლიუციონური წარსული აქვს, რომელსაც პარტია სათანადო პატივისცემით ეპყრობა, მაგრამ ერთია რევოლიუციონური წარსულის ქონება და მეორეა პრაქტიკული მუშაობის უნარი, რაიც ყოველ ჩვენთაგანს ზოგჯერ არც შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, თუ პარტია მოხსნის ისეთ ამხანაგს, რომელსაც უმძიმს ამა თუ იმ მოვალეობის შესრულება, ვფიქრობთ ძნელი არ უნდა იყოს ამის გაგება, რომ ეს გამოწვეულია სახელმწიფოს საქმის წარმართვის ინტერესებით და არა ამა თუ იმ ამხანაგის რევოლიუციონური წარსულის მივიწყებით ან შეურაცხყოფით.

როგორც ვიცით, დღეს საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი, გადატანილია ჩვენი მრეწველობის და მეურნეობის განვითარებისაკენ, რომ მით შევსძლოთ დიდძალი სიმდიდრის დაგროვება და ახალი სოციალურ-ეკონომიური წყობილების დამყარება.

აი ამ მიზნის მისაღწევად კი ორი ძირითადი პირობა არსებობს: ერთი—მაქსიმალური ეკონომიის დაცვა და მეორეც—შრომის ნაყოფიერების გაძლიერება. პირველისა და მეორეს ცხოვრებაში გატარება ერთგვარ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, რაიც ზოგ ჩვენ ამხანაგს ჯერ კიდევ ვერ შეუძენია და თუ ასეთ პირობებში ამა თუ იმ ადგილისათვის შეუფერებელ ამხანაგს პარტია მოხსნის, ცხადია, ეს ნაკარნახევი იქნება ერთის მხრივ საქმის აუცილებლობით და მეორე მხრივ, ამხანაგის ჯერ კიდევ ამა თუ იმ თანამდებობისათვის შეუფერებლობით.

თუ ძველათ საბერძნეთში ამბობდენ მიყვარს პლატონი, მაგრამ უფრო მეტად ჭეშმარიტება—ჩვენ პარტიას ეს თქმა შეუძლია ასე შესცვალოს: პატივს ვსცემ შენ რევოლიუციონურ წარსულს, მაგრამ ქვეყნის აღმშენებლობის ინტერესი უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ.

ა. კ—ძე.

თვითგანვითარების შესახებ კომკავშირში

საკითხი თვითგანვითარების შესახებ კომკავშირში, დღეს ერთი მტკივნეული საკითხთაგანია.

ამასთანავე ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხის შესახებ ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა მაგრამ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით კი ჯერ კიდევ არ გადადგმულა.

ამ პატარა წერილში ჩვენ გვსურს შევეხოთ თვითგანვითარების საკითხს კომკავშირში ადგილებზე მიღებულ გამოცდილების მიხედვით.

საქმე იმაშია, რომ სოფლად ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ამხანაგს მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ წარმოება-დაწესებულებებში და ამავე დროს არა აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რის გამოც უხდება ყოყმანი ამა თუ იმ საკითხის გარკვევა-გადაჭრაში. ეს უთუოდ არა ნორმალური მოვლენა.

ა. ლ. კ. კ. მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ორგანიზაციაა. კომკავშირელი კომუნისტურ საზოგადოების მშენებელია და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში ის შეიარაღებული უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური ცოდნით. და აი როდესაც ისმება საკითხი კომკავშირის საერთოდ და კერძოთ კი მისი აქტივის თვითგანვითარებაზე, ჩვენ ამ საკითხს ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ამას წინად გაზეთ „კომუნისტი“-ს პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებული იყო ამხანაგი კ. წალენჯიხელის წერილი აქტივის თვითგანვითარების შესახებ სადაც, ის სხვათა შორის ამბობს: „კომკავშირის აქტივი არ უნდა კმაყოფილდებოდეს ყოველდღიური საგაზეთო ფურცლებით და ბროშურებით; ზერელე სააგიტაციო ცოდნის სამაგიეროთ მან ხელი უნდა მოკიდოს სქელ ტანიან სერიოზულ მარქსისტულ ლიტერატურას“. შემდეგ დასძენს, რომ: „ცხადია, პოლიტწრეებში კომკავშირელი ასეთ ცოდნას ვერ მიიღებს“-ო და სხვა.

ასეთი რჩევა, მითითება ცენტრში მყოფ აქტივისათვის იმდენათ ცოდვა არ არის, რამდენადაც მაზრის აქტივისათვის. სოფლად მომუშავე ჩვენი ზოგიერთი კომკავშირელი ამხანაგები მიმართავდნენ მეცადინეობის იმ წესს, რომელზედაც ზემოთ ამხ. წალენჯიხელი მიგვითითებდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. და აი რატომ: კომკავშირელებს რაღაც სირცხვილად მიაჩნდათ ბროშიურების კითხვა, მათ დილიდან საღამომდე იღლიაში ამოჩრილი ჰქონდათ სხვადასხვა სერიოზული მარქსისტული ნაწრომები, რომლის კითხვა-შესწავლა მათ ძალღონეს აღემატებოდა და წყლის უბრალო ნაყვათ რჩებოდა.

ყოველმა აქტივისტმა განსაკუთრებით სოფლად (და ჩვენ ასეთი აქტივისტები მრავლად გვყავს) პირველ ყოვლისა თავის გონებრივი არე ბროშურების კითხვით უნდა გააფართოოს, ხოლო ამის შემდეგ ის თანდათანობით შესძლებს ხელი მოკიდოს სერიოზულ მარქსისტულ-ლენინიურ ლიტერატურას და კიდეც საფუძვლიანათ შეითვისოს ის.

მაგრამ როგორ ხასიათს უნდა ატარებდეს ეს მეცადინეობა?

თუ კომკავშირელი მტკიცე ნების ყოფისაა, ის შესძლებს თავისუფალი დრო მოანდომოს სისტემატიურ მეცადინეობას, მაგრამ აქაც არის დაბრკოლებები. შესაძლებელია მან წაკითხული თავისებურათ ახსნას და ისე ვერ გაიგოს, როგორც ეს საჭიროა. რომ ასეთს მდგომარეობას თავი დავაღწიოთ, ამისათვის, ჩვენის აზრით, უფრო ნაყოფიერი და უფრო სასარგებლოა ჯგუფური, კოლექტიური მეთოდით მეცადინეობა. ეს მით უმეტეს, რომ ამ ჯგუფებში და კოლექტივებში ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა კამათი, რაც ერთის მხრივ მეტად ხელს უწყობს გარკვეული, სწორი აზრის გამომუშავებას, ხოლო მეორეს მხრივ ასეთი გზით შეთვისებული ცოდნა წარუშლელი რჩება ამხანაგის მეხსიერებაში.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ ყველა აქტივისტზე, მაგრამ არის აქტივისტების ისეთი საგრძნობი ნაწილი, რომელიც ამ სისტემით უნდა მიუდგეს თვითგანვითარებას.

მაგრამ რომ ეს შესაძლებელი შეიქნეს, რომ ჩვენი აქტივი შეიარაღდეს ცოდნით, რაც აუცილებელია, ამიტომ აქტივი უნდა განიტვირთოს ზედმეტ მუშაობისაგან, რადგან უამისოთ ცდა უნაყოფო იქნება.

ზ. ქორიძე.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა ლიის რაიონში

ლიის რაიკომი (ზუგდიდის მაზრა), აერთიანებს სულ 5 უჯრედს: თვით ლიისის, ფახულანის, ჰალეჯგარის, ჭკადუაშის და ტყაია-ბეჟასლალის. აღნიშნულ უჯრედებში ირიცხება 85 პარტიის წევრი. პარტამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონე დაბალია. ორგანიზაციაში არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც წერა-კითხვაც არ იციან. რაც შეეხება თვით უჯრედების შინა-მუშაობას, აქ მდგომარეობა ასეთია: სხდომები იმართება სისტემატიურად. გარდა დახურულ სხდომებისა პრაქტიკაში შემოღებული გვაქვს ღია სხდომებიც, რომლებზედაც საკმაო რაოდენობით ესწრებიან უპარტიო ამხანაგები, მაგრამ საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ თვით უჯრედების მდივნები არ არიან სათანადოთ მომზადებულნი და ამ ნიადაგზე მუშაობაც ვერ მიმდინარეობს სასურველად. პოლიტწრეების მუშაობაც მოიკოჭლებს, რადგან ჩვენი წრეები პირდაპირ ხელმძღვანელების შიმშილს განიცდიან. ამას გაუწია ჯეროვანი ანგარიში რაიკომმა. მას განზრახული ჰქონდა ადგილებზე მიემაგრებია ამხანაგები; მაგრამ სამწუხაროთ არც რაიკომს აღმოაჩნდა პარტიის ისეთი წევრები, რომელთაც შეეძლებოდათ წრეებისათვის სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა. თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ რაიკომის საშუალებით პოლიტწრეებში მეცადინეობა გახდა უფრო გასაგები მსმენელებისათვის, რადგან წარმოებულ მეცადინეობას მიეცა საუბრის ხასიათი. კიდევ ერთი ნაკლი, რომელსაც აქ ხაზი უნდა გაუსვათ ეს ის არის, რომ უჯრედებში ძალიან ცოტაა წევრები. ამას თუ დაუმატებთ იმასაც, რომ, ზოგი ამხანაგი წასულია სამუშაოდ სხვად სხვა ადგილებში, მივიღებთ ასეთ სურათს, რომ თვითეულ უჯრედში რჩება ორი ან სამი ამხანაგი, რაც, ცხადია, მეტად აფერხებს უჯრედების მუშაობას. აი ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებლივ უნდა დაისვას საკითხი ახალ წევრების, ენერგიულ და პატიოსან მშრომელ გლეხების პარტიაში მიღების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს უჯრედებში მუშაობის გაცხოველებას. ეს ერთი. მეორეც ის, რომ ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა, რათა სამაზრკომთან გაიხსნას უჯრედების მდივნების ერთთვიური მოსამზადებელი კურსები.

ილია ლუკავა.

ლაშის უბნის კომუჯრედი

ქალაქ ოზურგეთის ლაშის უბანში დაარსდა კომუჯრედი, რომელიც ამ ჟამად აერთიანებს მხოლოდ 15 წევრს. რადგან უჯრედი ახლახან დაარსებულია, ცხადია, მისი მუშაობა ჯერ-ჯერობით ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ უჯრედს ამ თავითვე მიექცეს სერიოზული ყურადღება. თუ რაიკომმა არ გააბა მტკიცე კავშირი უჯრედთან, არ გაუწია მას ისეთი ხელმძღვანელობა, როგორიც ეს საერთოდ საჭირო არის, არ იზრუნა უჯრედის რიცხობრივად გაზრდაზე—რასაკვირველია შორს ვერ წავალთ. კერძოდ კი უჯრედის მდივანსაც მართებს დიდი მუშაობა, რომ უჯრედმა გაამართლოს თავისი არსებობა.

ზ. თაგაძე.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბაზარი

პურის ბაზარი.

თბილისის ბაზარზე პურის პროდუქტების მხრივ მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი; დიდია მოთხოვნილება თეთრ ფქვილზე, მაგრამ ბაზარი მას ვერ აკმაყოფილებს. „ხლებოპროდუკტ“-ი ძლივს აკმაყოფილებს შემოტანილ ფქვილით სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ბითუმად მოვაჭრეებზე კი გაცემა ფქვილისა შეწყვეტილია. მხოლოდ პურის მცხობელთ ეძლევათ იგი მცირე რაოდენობით. ჩრდილო კავკასიიდან თეთრი ფქვილის შემოტანა კერძო პირების მიერ ძალზე მცირეა, მიუხედავათ შემოტანის თანდათანი ზრდისა.

მოკლე ხანში, რადგან თანახმად მიღებული ცნობებისა ჩრდ. კავკასიაში უკვე სწარმოებს ფქვილის დატვირთვა ამიერ-კავკასიისათვის, მოსალოდნელია ბაზრის ავსება ფქვილით.

თბილისის ბაზარზე—ჩრდ. კავკასიასთან შედარებით ფასები მაღალია, ჩრდ. კავკასიაში ფუთი თეთრი ფქვილი (რუსული) ღირს 2 მ. და 85—90 კაპ. თბილისში კი—3 მ. და 90 კაპ.—ბითუმად ვაჭრობაში. ფქვილის ახალ პარტიების შემოტანით გათვალისწინებულია ფასების დაკლებაც.

სიმინდზე და სიმინდის ფქვილზე ამჟამად მოთხოვნილებაა არა მარტო დასავ. საქართველოში, არამედ ადგილობრივაც. სიმინდის ფქვილი ფასობს 2 მ. და 30 კაპიკამდე.

შავ ფქვილზე მოთხოვნილება მცირეა. იგი საკმაო რაოდენობით მოიპოვება ბაზარზე და ფუთი ფასობს 2 მან. და 40 კ.—2 მ. და 60 კაპიკად.

აგრეთვე მრავლად მოიპოვება ბაზარზე ქერი, რომელიც ფუთი ფასობს 6 აბაზათ.

ფართლეულის ბაზარი.

ამ უკანასკნელ ხანებში ფართლეულის ბაზრის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. მოთხოვნილება ბამბეულზე თანდათან იზრდება და მისი შემოტანა კი იკლებს. ამჟამად მისი რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილების 50 პროცენტსაც კი. საფეიქრო სინდიკატს მარაგი თითქმის აღარ აქვს.

საქონლის მიღებისათვის საფეიქრო სინდიკატში შექმნილია რიგი, რომელიც თანდათან იზრდება. რიგში შეხვდებით, გარდა კერძო პირებისა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებსაც.

მდგომარეობა გაუმჯობესდება მხოლოდ ენკენისთვეში, ვინაიდან მაშინ მოელიან 67 რონოდა საქონელს, მაგრამ ეს დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ ნაწილს, სულ რომ დაკმაყოფილდეს ბაზარი, ამისათვის საჭიროა 80—100 რონოდა ფართლეული.

ფართლეულის მცირე პარტიები შემოაქვთ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც მას სწრაფ ასაღებენ. რაც შეეხება კერძო შემოტანას იგი საკმაოდ ინტენსიურია და რეგულიარულად სწარმოებს.

ფასები კერძო ბაზარზე ბამბეულ ნაწარმოებზე ამ უკანასკნელად გაიზარდა.

რაც შეეხება შალეულს—აქ, შემოდგომის მოახლოვების გამო მოთხოვნილება მასზე გაიზარდა.

სელის ქსოვილებიდან მოთხოვნილება შემცირდა მსუბუქ საქონელზე და სამაგიეროდ გაიზარდა უხეშ ხარისხებზე: ბრიზენტებზე, ტომრებზე და სხვა.

მოთხოვნილება შალეულზე კმაყოფილდება სავსებით, ხოლო სელის ნაწარმოების ყველა ხარისხები კი არ მოიპოვება საკმაო რაოდენობით, უმთავრესად—სატომრე მასალა და მზა ტომრები.

რკინეულობის ბაზარი.

გართულებულია აგრეთვე მდგომარეობა რკინის ბაზარზე. სინამდვილეში საქონელი ცოტაა და მარაგიც ძალზე განსაზღვრულია. ამავე დროს მოთხოვნილება კი თანდათან მატულობს.

ცემენტი „ზაჰეს“-ისთვის და შავი ზღვის რკ. გზისთვის.

ჩრდილო-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დასდო ხელშეკრულება ზაჰესკომთან 30.000 კასრი პორტლანდის ცემენტის მიწოდების შესახებ. ასეთივე ხელშეკრულება დაიდო შავი ზღვის რკინისგზასთან, რომელსაც ესაჭიროება 25.000 კასრი ცემენტი.

ეკონ. ქრონიკა

მარელისის გრეხილი ავეჯეულობის

ქარხნისათვის გერმანიიდან მიღებულია შეკვეთილი დაზგებისა და მანქანების ნაწილი, ნაწილს მოელიან ახლო ხანში.

ფეხსაცმელების მექანიკურად საკერავი მანქანები.

ტყავტრესტმა დანიაში შეიძინა ფეხსაცმელების მექანიკურად საკერავი მანქანები.

ხილის საშრობი მოწყობილობა.

ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთ შეიძინა საქართველოსათვის ხილის სახმობი მანქანა მოწყობილობით.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები აფხაზეთისათვის.

[illegible] საგარეო ვაჭრობის კომისა[illegible] გადასწყვიტა დააკმაყოფი[illegible]მ დროს, ეს მარაგიდან აფხაზეთი [illegible]სამეურნეო იარაღებით.

ხორცის ბაზარზე

„მიასტორგ“-ში ჩვენს თანამშრომელს ხორცის გაძვირების შესახებ აცნობეს შემდეგი:

— ხორცის გაძვირების მთავარი მიზეზია ზედნადები ხარჯები, რომლებსაც იხდიან ხორცის დამამზადებელი ორგანიზაციები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, საქონლის დაკვლის დროს სასაკლაოზე.

საქმე იმაშია, რომ ერთ სულ საქონლის დაკვლაში სასაკლაოზე ხორცის დამამზადებელი ორგანიზაციები იხდიან 8 მან. 50 კაპ. ყოველგვარ გამოსაღებს, გადასახადებს და სხვა. იმ დროს, როდესაც 1913 წელს საქონლის დაკვლაში სასაკლაოზე იხდიდენ გამოსაღებს: დგომისათვის, დაკვლისათვის და საქალაქო გადასახადს, ამჟამათ საქონლის დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გადაიხადონ 12 სხვადასხვაგვარი გამოსაღები, მათ შორის გამოსაღები დგომისათვის, დაკვლისათვის, მიკროსკოპიული გამოკვლევა, დაღვევის გამოსაღები, საქალაქო და სამრეწველო გადასახადი და სხვა.

ყველა ამ გადასახადების გაღების შემდეგ ერთ სულ საქონლის დაკვლა ამ ჟამათ ჯდება 8 მან. 40 კაპ. იმ დროს, როდესაც 1913 წელში ერთ სულ საქონლის დაკვლა ჯდებოდა სულ 1 მან. 35 კაპ.

ამ ჟამათ აღძრულია საკითხი ამ უამრავ გამოსაღებთა რიცხვის შემცირების შესახებ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სპეციალისტმა ამხ. ხუზოვმა შეიმუშავა ახალ გამოსაღებთა პროექტი, „რომლის ძალით ერთ სულ საქონლის დაკვლა უნდა დაჯდეს არა უმეტეს 4 მან. 50 კაპ.

ამასთანავე ამ ჟამათ სწარმოებს მუშაობა თბილისის სასაკლაოს საცივარის აღსადგენათ. ამ საცივარის აღდგენას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან „მიასტორგ“-მა მომავალი წლიდან ამიერ-კავკასიას უნდა მიაწოდოს ხორცის მთელი იმ რაოდენობის ნახევარი, რომელიც მას სჭირდება. ამის გამო აღიძრა საკითხი საცივარის გამოყენების შესახებ იმ მიზნით, რომ იქ შენახული იქნეს ხორცის მარაგი.

ეს საცივარი დაათვალიერა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის სპეციალისტმა ამხ. ხუზოვმა, რომელმაც გამოარკვია შემდეგი:

— საცივარი კომპრესიციონური სისტემისაა და მას შეუძლია მხოლოდ შენახვა როგორც ხორცის, ისე ჩქარა გასაფუჭებელ პროდუქტებისა.

საცივარის ყველა მთავარი ნაწილები—სამანქანო განყოფილება, კომპრესორი და სხვა, კარგ მდგომარეობაშია, საჭიროა მხოლოდ მათი შეკეთება, რის შემდეგაც შეიძლება მისი ამუშავება.

გამაცივებელ კამერებს შეუძლიათ დაიტიონ 1.000 ხაჭერი ხორცი, მაგრამ იმის გამო, რომ „მიასტორგ“-ს არ ექნება ხორცის ასეთი დიდი მარაგი, მან ხელშეკრულება უნდა დასდოს მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომლებიც მას შესანახავათ ჩააბარებენ ჩქარა გასაფუჭებელ პროდუქტებს. ამით შესაძლებელი იქნება საცივარის მთლიანად ავსება. ეს შესაძლებელია იმდენათ, რამდენათაც საცივარი ცივდება არა ნაწილობრივ, არამედ ერთბაშად.

თუ „მიასტორგ“-მა შესძლო ამ საცივარის იჯარით აღება ქალაქის სასაკლაოსაგან, მაშინ ის ადვილათ შესძლებს თბილისის ბაზრის დაკმაყოფილებას ხორცის კრიზისის დღეებშიაც კი.

ჩვენი გზატკეცილები

სურამ-ძირულის გზატკეცილის სამუშაოები

საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს უმაღლესმა საინსპექციო კომისიამ დაათვალიერა სურამ-ძირულის გზატკეცილის სამუშაოები. როგორც დათვალიერებიდან გამოირკვა 23 ივლისიდან 23 აგვისტომდე შესრულებულია გზატკეცილის სამუშაოებს 4.500 კუბ. საჟენი, მათ შორის 1,900 კუბ. საჟენი კლდის სამუშაოებია და 2.600 კუბ. საჟენი უბრალო მიწის სამუშაოები. ყოველდღიურათ გამოდის სამუშაოზე დაახლოვებით 1000 მუშა.

კლდის სამუშაოთა ხელმძღვანელობა ამ უკანასკნელად დაევალა ოთხ გამოჩენილ იტალიელ სპეციალისტს.

გზის სამუშაოთა მსვლელობის სისწრაფემ გადააჭარბა მშვიდობიან დროის ნორმებს. უმაღლესმა საინსპექციო კომისიამ ადგილობრივ გადასწყვიტა სხვადასხვა ადმინისტრატიული და ტეხნიკური საკითხები გზატკეცილის აშენების ირგვლივ.

ბორჯომის კვანძის გზატკეცილები

ამავე კომისიამ დაათვალიერა ბორჯომის კვანძის გზატკეცილები, პირველ დღეშივე დათვალიერებული იქნა გზატკეცილები: ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქი, რომელიც ამ მოკლე ხანში გადავიდა საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს განკარგულებაში.

კომისიამ გამოარკვია და აღნიშნა მთელი რიგი გადაუდებელი სამუშაოებისა ამ გზის გარშემო და დაწვრილებით განიხილა საკითხი ბაკურიანის გზატკეცილის ხიდების შესახებ.

შემდეგ კომისიამ დაათვალიერა გზატკეცილები: ახალქალაქი-ახალციხე-აბასთუმანი, აბასთუმანი-ზეკარის უღელტეხილი, ბენარა-გოდერძის უღელტეხილი და აბასთუმანი-ახალციხე-ბორჯომი.

კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა ყველა ზემოაღნიშნულ გზატკეცილებზე წარსულ წლებში წყალდიდობისაგან დაზიანებული ადგილები და აგრეთვე მილები, ღარები და ხიდები. სხვადასხვა ადგილებში კომისიამ საჭიროთ აღიარა მთელ რიგ სამუშაოთა შესრულება. კომისია აგრეთვე გაეცნო გოდერძის უღელტეხილზე დამთავრებულ სამუშაოებს

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-მეურნეობის მექანიზაცია

საქართველოს აკლდება ყოველწლიურად 3,612,401 ფ. ხორბალი.—პერსპექტიული გეგმა.—სამელიორაციო სამუშაოები.—მელიორაციის ჩატარების შემდეგ დეფიციტი სავსებით დაფარული იქნება და დარჩება კიდევ ხორბლეული პროდუქტების ზედმეტი რაოდენობა.—კრედიტები გლეხებს.

სხვადასხვა ძვირფას კულტურებთან ერთად საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამუშავებს პურეულის კულტურებს. 1917 წლის აღწერის ცნობებით, ყველა სავარგისი მიწებიდან ხორბლეული პროდუქტების ნათესებს ეჭირა დასავლეთ საქართველოში 48,9 პროცენტი; აღმოსავლეთ საქართველოში კი—49,6 პროც. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი ღირებულების 46 პროცენტი მოდიოდა მემინდვრეობაზე. აქედან აშკარაა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ხორბლეულ მეურნეობას.

ამ ჟამათ საქართველოს დეფიციტი ხორბლეულ პროდუქტებში უდრის 3,612,401 ფუთს—4,423,088 მანეთს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობას, კერძოთ ხორბლეულ მეურნეობის განვითარებას, ხელს უშლიდა გაუმჯობესებული იარაღების ნაკლებობა, დამაკმაყოფილებელი გზების უქონლობა, მავნებლებთან ბრძოლის მოუწესრიგებლობა და სხვა.

დღევანდლამდე მიწის დამუშავება სწარმოებს პრიმიტიული კავით და გუთნით. მეტათ მოიკოჭლებს მემინდვრეობის ტეხნიკა, რაც იწვევს სოფლის მეურნეობის მავნებლების გავრცელებას; ეს უკანასკნელები ყოველწლიურათ ანადგურებენ რამოდენიმე მილიონ ფუთ ხორბლეულ პროდუქტებს.

როგორია საქართველოს ხორბლეული მეურნეობის განვითარების პერსპექტივები?

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებული სათანადო გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულია უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მოსახლეობის გადიდების შესაძლებლობა და აგრეთვე არსებული მუშა-საქონლის რაოდენობა, ითვალისწინებს ნათესების მოედნის შემდგომ გაფართოებას, რომელიც (მოედანი) აღნიშნული ხუთი წლის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში უნდა შეადგენდეს ომის წინა ხანების სივრცის 82 პროცენტს, დასავლეთ საქართველოში 110 პროცენტს აჭარისტანთან ერთად და აფხაზეთში 90 პროცენტს.

ნათესების სივრცის ასეთი გადიდება, რასაკვირველია, გამოიწვევს ხორბლეული პროდუქტების მოსავლის გადიდებასაც. გეგმის თანახმად 1930 წელში მოსავალი გადიდებული უნდა იქნეს 2.936.000 ფუთით. მაგრამ ეს რიცხვი საგრძნობლად შეიცვლება, როდესაც განხორციელდება გეგმაში გათვალისწინებული მელიორატიული სამუშაოები. მელიორაციამ უნდა მოგვცეს 256.500 დესეტინა ახალი მიწის ნაკვეთები, რომლთაგან 135.000 დესეტინა გამოყენებული იქნება სასურსათო პურეულის ნათესებისათვის. მელიორატიული სამუშაოების შესრულების შემდეგ მოსავალი იქნება 16.861.000 ფუთი. ამრიგათ, დაფარული იქნება დეფიციტი სასურსათო პროდუქტებში და ამას გარდა დარჩება კიდევ ზედმეტი რაოდენობა რესპუბლიკის საზღვრებს იქით გასატანათ.

რასაკვირველია, მოსავლის ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საშუალებით. გეგმა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო იარაღების-ტრაქტორების, გაუმჯობესებული გუთნების, სალეწი და სათიბი მანქანების და სხვა მანქანების, მიწოდებას მეურნეთათვის; სულ მიწოდებული იქნება 2.321,550 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამას გარდა მოწყობილი იქნება ხორბლის საწმენდი პუნქტები და მოგვარებული იქნება ხორბლის ხარისხებათ დანაწილება. ვინაიდან იარაღებთან ერთად მელიორაციისაგან მიღებულ მიწის ნაკვეთებზე საჭირო იქნება მუშა-საქონელი, გეგმა ითვალისწინებს კრედიტების მიწოდებას გლეხებისათვის მუშა-საქონლის შესაძენათ. გეგმის მიხედვით ეს კრედიტი განისაზღვრება 5.710.000 მანეთით.

აბრეშუმის პარკის დამზადების გარშემო

ჩვენს თანამშრომელს აბრეშუმის პარკის დამზადების შესახებ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატში აცნობეს შემდეგი:

აბრეშუმის პარკის დამზადების მხრივ ამიერ-კავკასია მიმდინარე წელში განსაკუთრებულ პირობებში იყო. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ შემოღებულმა მფარველობითმა ზომებმა აბრეშუმის თესლის დამამზადებელ ორგანიზაციების მიმართ გამოიწვია თესლის დამამზადებელ რამოდენიმე წარმოების დაარსება.

მიმდინარე წელში საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი იყო 116.874 კოლოფი თესლი. ადგილებზე დასარიგებლათ ამ თესლიდან დამზადებული იქნა 49,029 კოლოფი თესლი, რაც შეადგენდა საერთო რაოდენობის 30 პროცენტს. ამას გარდა საქართველოში დამზადებული იქნა ადგილობრივი აბრეშუმის თესლი 35,790 კოლოფის რაოდენობით, სომხეთში დამზადებული იქნა 6,276 კოლოფი, აზერბეიჯანში—6.964; ამას გარდა, სომხეთმა დამზადა და სპარსეთში და თურქესტანში გაიტანა 3.300 კოლოფი.

სულ გატანილთან ერთად ა|კ. ფარგლებში დამზადებული იქნა 52.329 კოლოფი. ფაქტიურათ, საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი და ადგილობრივ დამზადებულ თესლიდან დარიგებული იქნა საქართველოში 78,425 კოლოფი, აფხაზეთში—5.000, აზერბეიჯანში—75,916 და სომხეთში—1924 კოლოფი. დანარჩენი თესლი დაიღუპა.

აბრეშუმის ჭიის კვების დროს ამინდი ყველგან ხელსაყრელი იყო და მოსავალი წელს კარგი იქნება.

მთელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე წელში მიღებული იქნება 237,000 ფუთი ნედლი პარკი.

ეს მოსავალი დაახლოვებით ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოში მიღებული იქნება 130,000 ფუთი, აფხაზეთში—7.500, აზერბეიჯანში—95,000 და სომხეთში—4.500 ფუთი.

ხელსაყრელი პირობების გამო თვითეულ კოლოფ თესლიდან საქართველოში მიღებული იქნება დაახლოვებით 1,75 ფუთი პარკი, აფხაზეთში—1,5, აზერბეიჯანში—1,25 და სომხეთში—2,25 ფუთი.

ვინაიდან უცხოეთის ბაზარზე აბრეშუმის პარკის ფასები დაკლებული იყო, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ პარკის ფასები ამიერ-კავკასიის ბაზარზე დაეცემოდა, მაგრამ შემდეგში უცხოეთის ბაზრის მდგომარეობა განმტკიცდა და პარკის ფასებმა შარშანდელ ფასებს მიაღწია.

ამის შემდეგ ა|კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ დაწესებული იქნა შემდეგი ფასები: საქართველოში პირველი ხარისხის 18 მანეთი; მეორე ხარისხის—16 მან.; აზერბეიჯანში პირველი ხარისხის—16 მანეთი, მეორე ხარისხის—14 მანეთი. აბრეშუმის პარკის ფასები სომხეთში ადგილობრივი პირობების თავისებურობის გამო ჯერ დაწესებული არ არის.

აბრეშუმის პარკის დამზადებას საქართველოში აწარმოებს საზოგადოება „აბრეშუმი“, აზერბეიჯანში და აფხაზეთში ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი და სომხეთში და აზერბეიჯანში—ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

თბილისის საბჭოს სექციებში

24 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე შესდგა თბილისის საბჭოს განათლების სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა აღმასკომის საქმიანობა განათლების დარგში 1925 წლის ექვსი თვის განმავლობაში.

სასკოლო აღმშენებლობა.

სასკოლო აღმშენებლობა წარმატებით ვითარდება: სწარმოებს დიდი მეცადინეობა შრომის პრინციპების და სწავლის მეთოდების განსამტკიცებლათ. იმატა სკოლების რიცხვმა, როგორც ქალაქში (1923|24 წელს იყო 86 სკოლა, 1924|25 წელს კი 94), ისე მაზრაში (იყო 1923|24 წ. 124, 1924|25 წ. კი 157).

გადიდდა მოსწავლეთა რიცხვი, როგორც ქალაქის შრომის სკოლებში (იყო 1923|24 წ.—27.762, 1924|25 წ. კი არის 34.410 მოწაფე), ისე მაზრის შრომის სკოლებში (იყო 1923|24 წ. 9087, 1924|25 წ. არის 12.801 მოწაფე).

გახსნილ იქნა აგრეთვე სამ რაიონში (ხაშმში, მანგლისში, ალბულახში) და ქალაქში გლეხთა ახალგაზრდობის ოთხი სკოლა; უკანასკნელის მიზანია მისცეს სოფელს კვალიფიციური სოფლის მეურნე. განზრახულია მომავალი წლიდან სოფლის ყველა 7 წლედი გადაკეთდეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად.

სკოლის ასაკამდე აღზრდა.

სასკოლო ასაკამდე აღზრდას უაღრესი მნიშვნელობა მიეცა; ჩვენი საბავშვო ბაღები (შარშან იყო 20, წელს 21) და საბავშვო სახლები (ქალაქში—9, მაზრაში—2) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილნი არიან საჭირო სასწავლო ნივთებით და სათანადო ხელმძღვანელებით. ამათ გარდა არსებობს ინტერნატები, სკოლა-კომუნა, ტრახომ-იზოლიატორი, სკოლები ასაკ-გადასულთათვის, საბავშვო ახალშენები, პროფსკოლები, საღამოს ტეხნიკუმები და საქარხნო საფაბრიკო სკოლა.

პოლიტიკური განათლება.

პოლიტიკური განათლების დარგში აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა. მიღებულია ზომები, როგორც ქალაქში, ისე მაზრაში ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოების და კლუბ-თეატრების მუშაობის გასაუმჯობესებლათ. დღემდე ამ დაწესებულებების წარმატება შეფერხებული იყო სათანადოთ გამოცდილ გამგეთა არყოლის გამო, დღეს კი პოლიტ. ქ|განყოფილება ყოველ საშუალებას ხმარობს, რათა ეს ნაკლი თავიდან აიცილოს.

საბჭოთა სასამართლო

თ. ბაქრაძეს საქმე

აღმოს. საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით გაირჩა თ. ბაქრაძეს საქმე. მას ბრალი ედება დანაშაულში, რომელსაც ითვალისწინებს სისხ. სამართლის კოდექსის 116 მუხლის მე-2-რე ნაწილი და 203 მუხლი.

სოფ. ბალღოჯიანში (სიღნაღის მაზრა) დაარსებული იყო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „გლეხთა წინსვლა“. მის ნოქრად და მოლარედ ითვლებოდა ბრალდებული თ. ბაქრაძე. ამ თანამდებობას ის ასრულებდა გასული წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის 19 მარტამდე. მას ებარა საქონელი, სალარო და სხვა.

აღნიშნულ კოოპერატივის გამგეობამ 16 მარტს რევიზია მოახდინა და აღმოაჩინა ბევრი დანაკლისი. იმ დღით, მთლიანათ რევიზია ვერ დასრულდა და გადადებულ იქნა 19 მარტისათვის.

ბრალდებულმა [illegible] იცოდა რომ 19 მარტს ყველასთვის აშკარა იქნებოდა მისი [illegible]ბა აღნიშნულ კოოპერატივში. მან მეორე რევიზიის მოხდენას ერთი დღით დაასწრო და 18 მარტს, ღამის 2 საათზე, გადაწვა სას. სამეურნეო ამხანაგობა „გლეხთა წინსვლა“. აღნიშნულ საზოგადოებაზე მიყენებული ზარალი, დაახლოებით 2.857 მანეთს უდრის.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და სისხ. სამართლის კოდექსის 116 მუხლის ძალით მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეცა, 203 მუხლის ძალით კი 5 წლით. სულ 15 წლით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო სის. სამ. კოდექსის 30 მუხლი და მოსახდელ სასჯელის ვადათ წინასწარ დაპატიმრების ჩათვლით დაუტოვა 9 წლით. 8 თვით და 16 დღით თავისუფლების აღკვეცა.

ქრონიკა

— **მელითონეთა ყრილობა.** სრ. საქ. მელითონეთა კავშირის ყრილობა გაიხსნება 10 სექტემბერს.

— **რკინის გზის სკოლებში** ბავშვების მისაღები განცხადებები მიიღება მხოლოდ 1 სექტემბრამდე.

— **თბილისის შრომის სკოლებში** მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს.

— **თემაღმასკომების მდივნების** გადასამზადებელი კურსების მეორე ჯგუფის გამოშვება მოხდება ამ დღეებში.

— **სახ. კომისართა საბჭომ** დაამტკიცა სისხლის სამართლის მილიციის დებულება.

— **შინაგან საქმეთა სახ. კომისა**რიატთან იხსნება ახალი განყოფილება, რომელიც იკისრებს მილიციისათვის დაამზადოს ტანისამოსი, იარაღი და სხვა საჭირო ნივთები.

— **საქონლის ჭირი.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის საბეითლო განყოფილების ცნობით თელავის მაზრაში შენიშნულია საქონლის ჭირი.

— **მეფუტკრეობის ბიურომ** რაჭაში მოაწყო მეფუტკრეობის მოკლევადიანი კურსები.

— **მილიციონერების გადამზადება.** ამ დღეებში მოხდება უნცროს მილიციონერთა გადასამზადებელი კურსების პირველი ჯგუფის გამოშვება.

— **თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა** საგეგმო კომისიას გადასცა საკითხი ტრამვაის ტარიფის შესახებ.

— **შეღავათი მონადირეთა კავშირს.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მონადირეთა კავშირს მისცეს შეღავათი ბინის ქირის გადახდაში.

— **წარმოკავშირი** ოსმალეთიდან, საბერძნეთიდან და სტამბოლიდან იწერს თამბაქოს თესლებს.

— **გადასახადების გეგმა.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1925—26 წელს საგადასახადო გაწერის გეგმა.

— **აგარაკებზე გაგზავნილ პროფ**კავშირების წევრთა შორის 38 პროცენტი ქართველია, 29 პროც. რუსი, 21 პროც. სომეხი და 12 პროც. სხვადასხვა ეროვნების.

— **სარძეო დახმარება.** ივლისის განმავლობაში თბ. დამზღვევმა სალარომ 2287 დაზღვეულს მისცა სარძეო დახმარება.

— **საბეჭდი მანქანები.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ დღეებში საზღვარგარეთიდან მიიღებს 200 საბეჭდ მანქანას.

— **დახმარება უმუშევრებს.** 27 აგვისტოს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება მისცემს აგვისტოს დახმარებას იმ უმუშევრებს, რომელთაც აქვთ წიგნაკი № 3,501-დან 5,100-მდე.

ახალი წიგნები

— **გამოვიდა:** ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია“.

— დ. კასრაძის პიესების კრებული „თეატრი“.

შემთხვევები

— **მოტოციკლეტის ქვეშ.** 24 აგვისტოს რუსთაველის პრ. მოტოციკლეტმა გადაუარა გიორგი ოტოევს. დაშავებული გადაიგზავნა საავადმყოფოში.

— **მე-65 ცხენოსან ლეგიონის** აბანოდან მოიპარეს მობანავე წითელარმიელების საცვლები.

— **ქურდობა.** 24 აგვ. გორის ქ. № 2 მოქ. სერგო მიროზის ბინიდან მოიპარეს 86 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ბათომის ქ. № 22 გაქურდეს ანინა მეტუხინის ბინა.

ხელოვნება

კონცერტებზე

ბეტხოვენის საღამო

ბეტხოვენის მეხუთე სიმფონია წარმოადგენს ამ უდიდეს კლასიკოსის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს. იგი შესანიშნავია არა მარტო თავისი განუსაზღვრელი მუსიკალური სილამაზით, არამედ აგრეთვე სიმბოლიკით, რომელიც ბეთხოვენმა პირველად შეიტანა თავის შემოქმედებაში. სიმფონიის მთავარ იდეას წარმოადგენს ბედისწერა. ეს იდეა გატარებულია სიმფონიის პირველსავე მძლავრ ჰანგებში. სიმფონიის მთელი პირველი და, განსაკუთრებით, მეორე ნაწილი გაჟღენთილია ფატალიზმით, მაგრამ ბეტხოვენს მაინც სწამს ადამიანის შემოქმედებითი ძალა და სიმფონიის მესამე და მეოთხე ნაწილსაც აჩნევია მხიარული განწყობილება.

სტოლერმანი საუცხოვოთ, მთელის შეგნებით ასრულებს ამ სიმფონიას, განსაკუთრებით მეორე ნაწილს; სტოლერმანი განსაკუთრებით ხაზს უსვამს კონტრასტს პირველსა და მეორე ნაწილს შორის, მეორე ნაწილი მოითხოვს უფრო ტრაგიკულ, ნელ ტემპს, სტოლერმანი კი აქ ცოტა აჩქარებულია. საერთოდ კი სიმფონიის შესრულება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. კონცერტის სოლისტად გამოვიდა სკრიპაჩი იაკობ ბროდსკი, რომელმაც საუცხოვოდ შეასრულა ეს კლასიკური ნაწარმოები.

კონცერტი დამთავრდა ვებერის უვერტიურის „Волшебный стрелок“-ის შესრულებით. ამ ნაკლებად შინაარსიანმა უვერტიურამ ცოტაოდნათ დაჩრდილა მთელი საღამოს დედა-აზრი.

ჰ. ბ.

ქიათურის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

მომავალ 1925 და 26 წ. სათეატრო სეზონის წარმოებისათვის, ქიათურის აღმასკომის მიერ დასის ხელმძღვანელოდ მიწვეულია რეჟისორი ივ. ბარველი, რომელმაც უკვე შეადგინა დასი და შეიმუშავა რეპერტუარი ადგილობრივ სამხატვრო საბჭოსთან ერთად. დასში მიწვეულნი არიან (ანბანით) ქალნი: ბერძენიშვილი ნატ., მარგველაშვილი ვერა, ტარუაშვილი თამარი, ყენია ნინო, ლეინიაშვილი თიკო; ვაჟნი: კობელი ვასო, კოსტავა გრ., კრავეიშვილი ნიკ., ლეჟავა ბიტ. ლითანიშვილი ანტ., ნუცუბიძე გიორ., ჩხეიძე დავ., სცენარიუსი დავ. ქილუთაძე, მოკარნახე გიორ. გურული. ამათ გარდა დასის დასახმარებლათ მიწვეულია სამი ქალი და 9 ვაჟი მუდმივ თანამშრომლებათ. სხვადასხვა პიესების საცეკვაო ნომრების მოსამზადებლად მიწვეულია ერთის თვით სახელმწიფო ოპერის ბალეტმეისტერი სერგეევი.

რეპერტუარი უკვე შემუშავებულია. უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვთ ორიგინალურ პიესებს, შემდეგ ნათარგმნებს და გადმოკეთებულებს.

— **ვანო სარაჯიშვილის სახელობის თეატრი.** სიღნაღის პოლიტგანმა დაადგინა, რომ სოფ. ბოდბისხევის თეატრს ეწოდოს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თეატრი.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** დღეს მომღერალ ქალის ნინა ტერიანის კონცერტის პროგრამაში შედის არალი სიმღერები. კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას თბილისის გამოჩენილი ძალები.

მეცნიერება და ტეხნიკა

ყველაზე პატარა ხალხი.

დღემდი ჩვეულებრივათ აფრიკას სთვლიდენ დაბალი ხალხების სამშობლოთ. ასე მაგალითად, მდინარე ნილოსის სათავეში ცხოვრობდენ ქონდრის კაცთა ტომები, რომლებიც ყველაზე დაბალ ხალხათ ითვლებოდენ მსოფლიოში. კონგოს რაიონში ცხოვრობენ ქონდრის კაცები, რომლებიც კიდევ უფრო დაბალი არიან.

უკანასკნელ ხანებში მიღებულია ცნობა, რომ აღმოაჩინეს ქონდრის კაცთა ახალი ტომი, რომელიც დღემდი აღმოჩენილ ქონდრის კაცებთან შედარებით კიდევ უფრო დაბალია. ქონდრის კაცთა ეს ტომი ცხოვრობს გვიანის იმ ნაწილში, რომელიც ინგლისს ეკუთვნის. აღმოაჩინა ისინი ცნობილმა ამერიკელმა მოგზაურმა გერბერტ ლანგმა.

ახალი სწრაფლმბეჭდავი მანქანა.

გაზეთები უნდა იბეჭდებოდენ ასეულ ათას და მილიონ ცალობით და ამიტომ საჭიროა, რათა მანქანა სწრაფად ბეჭდავდეს გაზეთს. საბეჭდი მანქანები ათეულ ათას ნომრებს ბეჭდავენ საათში, მაგრამ მათ ყველას აჯობა ახალმა სწრაფლმბეჭდავმა მანქანამ, რომელიც დაამზადეს სწრაფლმბეჭდავი მანქანების გამომგონებლის ფრიდრიხ კენიგის მიერ 1814 წ. დაარსებულ ფაბრიკაში.

ეს მანქანა უშვებს წუთში 21.000 მეტრ ქაღალდს და მისი საბეჭდი ცილინდრები 18.000 მობრუნებას ახდენენ საათში.

ქაღალდი მოძრაობს მანქანაში 20 ვერსის სისწრაფით საათში. ამ დროს მის ორივე მხარეზე იბეჭდება არა მარტო ტექსტი, არამედ სურათებიც (ორფერათ). გარდა ამისა მანქანა სჭრის ქაღალდს ფურცლებათ, კრავს ფურცლებს ნომრებათ, ჰკეცს მათ, საანგარიშო მანქანაზე აღნიშნავს დაბეჭდილი ნომრების რაოდენობას. საათში მას ამგვარად შეუძლია დაბეჭდოს 200.000 ცალი 4 გვერდიანი გაზეთი.

მანქანა არის ორსართულიანი, ზემო ნაწილში მოთავსებულია საბეჭდავი მანქანები, საკეცი და დამწყობი მოწყობილობა, ქვევით მურგი ქაღალდი და ელექტრო-მანქანები. ეს საბეჭდი მანქანა იწონის 150 ტონას და მის გადასატანად ქარხნიდან სტამბაში საჭირო დარჩა 10 ვაგონი. შეიძინეს ის ქ. ოსლოს (ყოფ. ქრისტიანია) მთავარი სტამბისათვის, ნორვეგიელებმა.

უდიდესი წყალქვეშა ნავი.

იაპონიაში დაამთავრეს აგება ახალი უდიდესი წყალქვეშა ნავის. მისი წყალწყვა უდრის 17.000 ტონას, სათბობი მარაგის რაოდენობა კი საკმაოა, რომ ნავმა ორჯერ გაიაროს წყნარი ოკეანე. ეს ნავი ააგეს თითქმის ერთი წლის განმავლობაში.

მუშათა ცხოვრება

რას ნიშნავს?!

(მუშის შენიშვნა)

— ივანიკა, რას ნიშნავს კანალიზაცია?

ივანიკა დაფიქრდა ერთი წუთით.

— კანალიზაცია ნიშნავს **მტკვრის ასაყროლებელს.**

— როგორ?

— როგორ და ისე. მთელ ქალაქში ყველა ქუჩის ქვეშ არხებია გაყვანილი, რომლებიც მტკვარს უერთდება. ქალაქის ყველა სახლებიდან ამ არხებში ჩადის ფეხისადგილების სიბინძურე, არხებიდან კი მტკვარში ჩადის... მაშ, რა არის ეს, თუ არ მტკვრის ასაყროლებელი და სახიფათო რამ?!

— რას ნიშნავს **ინკვიზიცია?**

— კისრის მოგრეხას...

— როგორ?

— როგორ და ისე: თუ ვისიმე ჯავრი გჭირს, დაიჭერ, კისერს მოუგრეხ, ცხვირპირს დაუსისხლებ, გვერდებს ჩაუმტვრევ, წესრიგის დამცველი კი შორიდან ღიმილით გიყურებს. აი ეს არის, ამას ჰქვიან ინკვიზიცია...

— რას ნიშნავს **ნაციონალიზაცია?**

— ნაციონალიზაცია? ნაციონალიზაცია იმას ნიშნავს, რომ როდესაც ვინმე რაიმე სავაჭროს გახსნის და ზედაბრას ჩამოჰკიდებს, ზედ უნდა დააწეროს უცხო სიტყვები ქართული ასოებით, აი ისე, როგორც სახელმწიფო სავაჭროების აბრებზეა დაწერილი. ეს არის ნაციონალიზაცია...

— ეგეც კარგია...

მუშა **ნიკო ცხ—ლი.**

როგორ ვისვენებთ ბორჯომში

ბორჯომის დასასვენებელ სახლში ვიმყოფებით დასასვენებლად 80 მუშა. ბორჯომი როგორც წყლებით, ისე ბაღებით, ტყეებით და სხვა, მენშევიკების ბატონობის დროს მეტად გაპარტახებული და გაბინძურებული იყო. ან და რომელ მუშას ღირსებია აქ დასვენება და დროების გატარება მაშინ, როგორც ეს ამ ჟამად არის.

მუშების დასასვენებელი სახლი თავის სილამაზით მეტად სასიამოვნოდ გამოიყურება;

საწოლები მშვენიერი, სუფთა და საუკეთესო.

აქვე მოწყობილია საპარიკმახერო, აბანო და არის ექიმი.

სამზარეულოში სადაც საჭმელები კეთდება, დაცულია სრული სისუფთავე.

დილით გვეძლევა დაშაქრული ჩაი, კარაქი, ყველი, რძე და პური რამდენიც გვინდა.

ვსადილობთ 2 ნახ. საათზე ორი კერძით. საღამოს 7 ნახ. საათზე გვაქვს ვახშამი და ჩაის.

სახლის გამგის ამხ. **კეჭიაშვილის** მოპყრობა მუშებისადმი მეტად თავაზიანია.

ა. წ. 22 აგვისტოს გავემგზავრეთ ყველა მუშები ექსკურსიაზე წაღვერში, სადაც დავათვალიერეთ ძველი ისტორიული ციხე-სიმაგრეები და ნასადილევს დიდათ ნასიამოვნები დავბრუნდით ყველა თავის ადგილზე.

გვაქვს ყველაფერი და ყველაფრითაც კმაყოფილი ვართ.

მუშების დავალებით მუშა—**ხოჟამაჟარაშვილი.**

ასეც უნდა მომხდარიყო

15 აგვისტოს ტყავ-ტრესტის (ამხ. ლენინის სახელობის) საზაფხულო მუშათა კლუბში ამავე კლუბის სასარგებლოდ გაიმართა დიდი საღამო. საღამო გადაიქცა სახალხოდ, რადგან ამ საღამოს დაესწრნენ არა მარტო ადგილობრივი მცხოვრებელნი, არამედ ქალაქის სხვა კუთხეებიდანაც.

აღსანიშნია ისიც, რომ ორთაჭალა-კრწანისის მებაღეებმაც, რომელნიც თითქმის აქნობამდის ჩამოშორებული იყვნენ ჩვენ მუშაობას ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა ამ საღამოში, რითაც ხელი შეუწყვეს ჩვენი კლუბის კვლავ აყვავებას, რასაც ჩვენ სიხარულით ვეგებებით. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ტყავ-ტრესტის კლუბი მარტო ტყავ-ტრესტის მუშებს კი არ უწევს სამსახურს არამედ მთელს ორთაჭალის რაიონს და მით უმეტესად მებაღეებსაც, რომელნიც ძალზე დაშორებული არიან ცენტრიდან.

ჩვენი სალამი მებაღეებს.

მუშკორი **ნაპერწკალი.**

გაუგებრობის ასაცილებლად

(პროკურატურის და სისხლის სამართლის მილიციის საყურადღებოდ)

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-1347—ნომერში გამოცხადებულია ვიღაც **თამარ სხირტლაძის** შესახებ ფულების გაფლანგვის ამბავი და სხვა... და ვინაიდან მეც თამარა სხირტლაძე ვარ, ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ხსენებული წერილი მე შემეხება. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას, რომ საშუალება მომცეთ განვაცხადო შემდეგი: **მე ვარ თამარ გერასიმეს ასული სხირტლაძე,** ქვრივი მოქ. სიმონ ტაფალიშვილისა; მე ვარ პროფესიით პიანინოს დამკვრელი და ზემოხსენებულ თამარ სხირტლაძესთან მე არავითარი კავშირი არ მაქვს.

თ. სხირტლაძე.

მიეშველეთ ამ მუშებსაც

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

ავლაბარში, ეტაპის ქუჩ. № 28-ში, სადაც ბლომად მოიპოვება მცხოვრებლები ერთი პატარა ოთახი დაიქირავეს მუშა-ქურთებმა. ესენი ძალზე ბინძურად ინახავენ ოთახს და ჰქმნიან აუტანელ სიბინძურეს, რითაც აწუხებენ აქ მცხოვრებლებს. ამ პატარა ოთახში სცხოვრობენ ოცამდე მუშები, რადგან ეს ოთახი ყველას ვერ იტევს, ისინი იძინებენ ეზოში მიწაზე და ჰქმნიან საშინელ ანტისანიტარულ მდგომარეობას.

საჭიროა ამ მუშებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მიეცეს შესაფერი ბინები სხვა ალაგას.

მუშა **ავლაბრელი.**

დაგვეხმარეთ ქუჩების გაშრობაში

(ქ. ფოთის ალმასკომის საყურადღებოდ)

ქ. ფოთის ალმასკომმა ბევრი რამ გააკეთა და დღესაც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. ქუჩები, რომელნიც უნუგეშო მდგომარეობაში იყო გაკეთდა და დღესაც კეთდება, მაგრამ ეს ყოველაფერი ხდება ქალაქის ცენტრალურ ადგილებში და სწარმოებს მხოლოდ მთავარი ქუჩების შეკეთება. ქალაქის განაპირა უბნები მუშათა რაიონები ამ მხრივ ისევ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. საკმარისია ერთი დღის წვიმა, რომ ქუჩებში დადგეს სანავო წყალი.

ერთი ასეთ ქუჩათაგანია შ. ლეჟავას (ყოფ. ციციანოვის) სახელობის ქუჩა, რომლის მცხოვრებლებმა ბევრჯერ მიმართეს თხოვნით ალმასკომს დახმარების აღმოსაჩენათ, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არავითარი ყურადღება არ არის მიქცეული.

აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლები მზად არიან გამოვიდენ სამუშაოდ, მხოლოდ ალმასკომმა უნდა იკისროს მათთვის ტეხნიკური და მატერიალური დახმარების მიცემა.

ტ. ბე—ლი.

ასეთი ვაჟბატონები სახელს გვიტეხენ

(თვითმშრომელთა კავშირის საყურადღებოთ)

თელავის თვით-მშრომელ ხელოსანთა სასადილოში კრედიტი აქვთ გახსნილი მრავალ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც თვიურად ხარჯავენ და ჯამაგირის აღებისას უსწორდებიან სასადილოს. სასადილოს გამგედ მსახურობს მოქ. **ლუარსაბ ყურეშიძე.** სხვათაშორის კრედიტით სარგებლობდა ადგილკომის ერთი პასუხისმგებელი მუშაკიც.

მაგრამ როდესაც კრედიტი გამოელიათ და ანგარიშის გასწორება მოსთხოვეს (მიუხედავად მრავალთვეების გასვლის და მრავალ ჯამაგირის აღებისა) მათ ანგარიში არ გაასწორეს.

ეს ვაჟბატონები ვალს არ ასწორებენ და არც სასადილოს გამგეობას ასვენებენ თავიანთი აბეზარობით.

რატომ პროფკავშირები ასეთ ელემენტებს ადგილს აძლევენ თავიანთ რიგებში. ესენი ხომ სხვასაც ნდობას უტეხენ როგორც სასადილოში, ისე საზოგადოების თვალში.

ინფ. სადვისი.

გამოგზავნილი წერილებიდან

კოჯორის დარაჯები რად დაგავიწყდათ

(ქალ. ალმასკომის და პროფსაბჭოს საყურადღებოდ).

მიუხედავათ იმისა, რომ კოჯორის დარაჯებს დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვთ დაკისრებული, ისინი და მხოლოდ ისინი არიან მცველი, შემნახველი და ფაქტიურად ყველაფერი ამ აგარაკისათვის, ვინაიდან სხვა პატრონი აქ არა სჩანს, მათი ხელფასი საშინლად მცირეა,—ოცდახუთ მანეთს არ აღწევს. თითოეულ მათგანს აბარია საშუალოდ 20 აგარაკამდის.

ეს უსამართლობა გამოასწორეთ სასწრაფოდ.

მუშა **ლენინელი.**

რკინისგზის პროფკავშირებში

— **საზამთრო სპეც-ტანისამოსი.** ა | კ. რკინის გზის დამცველ რაზმის მე-2-ე უბნის თანამშრომელთა საერთო კრებამ მიმართა ადმინისტრაციას დროზე მიაწოდოს მათ მომავალი ზამთრის სპეც-ტანისამოსი.

— **რემედასის ბიურო.** ა | კ. რკინის გზის საშემოსავლო ნაწილის ადგილკომის სადელეგატო კრებაზე მოხდა რემედასის ბიუროს გადარჩევა, რომელშიაც შედის 8 კაცი.

— **სადუქნო საკონტროლო კომისია.** ა | კ. რკინის გზის დამცველ რაზმის თანამშრომელთა საერთო კრებამ აირჩია სადუქნო საკონტროლო კომისია, რომელშიაც შედის 5 კაცი.

— **ავიაქიმის ბიურო.** ა | კ. რკინის გზის საშემოსავლო დარგის თანამშრომელთა საერთო კრებაზე მოხდა ავია-ქიმის ბიუროს გადარჩევა, რომელშიაც არჩეულია 7 კაცი.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** ზათომის საუბნო პროფკავშირმა დაასრულა მთელს უბანზე უმუშევართა საერთო აღრიცხვა.

სოფლად

მეწისქვილე უზნაძის თავხედობა

მდინარე ზუჯაზე, სოფ. ქალატყეში 21 გლეხს გვაქვს საზიაროთ ერთი წისქვილი. ამავე მდინარეზე 240 საჟენის დაშორებით ძველთაგანვე აშენებულია შეძლებულ გლეხის ნიკოლოზ უზნაძის წისქვილი. ამ ვაჟბატონს წისქვილი ხალხის საწველ იარაღათ გადაუქცევია და კარგათაც ითბობს ზედ ხელს. მას, რა თქმა უნდა, არ მოსწონს წისქვილის მფლობელობის კომუნალური წესი და უნდა მისი მოსპობა-განადგურება.

ამ მიზნით მთავრობის დაუკითხავათ და წყალთა სამმართველოს ნებადაურთველათ ნიკ. უზნაძემ მოავლო თავის ძველ რაფზე ახალი რაფი, ზომით 2 არშინი, რომლითაც ცხადია ჩვენ წისქვილს წყალდიდობის დროს განადგურება მოელის. ამის შესახებ ჩვენ შევატყობინეთ ადგილობრივ მთავრობას. მისი განკარგულებით შეჩერებული იქნა მუშაობა.

მეწისქვილე უზნაძე ამ განკარგულებით მეტად შეურაცხყოფილი დარჩა და მან განიზრახა, როგორმე გვერდი აევლო ადგილობრივ ხელისუფლებისათვის. მოიყვანა ტეხნიკი და მოგვმართა შემდეგი მუქარით. „როგორ გაბედეთ და ეს ჩემი საქმე მთავრობას აცნობეთო, მე გახლავარ კოლია უზნაძე, რომელსაც შემიძლია ძალიან მტყუანიც რომ ვიყვე მაინც დაგჯაბნოთო". და დასძინა: „ვინ კიკნაძე, ვინ მიქელაძე, „ია იხ ნე პრიზნაიუ"-ო, მე საქმე „უმაღლეს'ში" მაქვსო".

მაშინ კომუნალური წისქვილის ერთ-ერთმა მონაწილემ, სერაპიონ სამხარაძემ უპასუხა: „შენ არ გეკუთვნის ფეხქვეშ გათელო მშრომელი გლეხობა და, კიდევაც რომ მოინდომო, ამის ნებას არ დაგრთავს თვით მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, მე ვარ სერაპიონ სამხარაძე, რომელიც ამ ქალამნიანი ფეხით გდევ. იმ უმაღლესამდე, სადაც ყოველივე სინამდვილე და სიმართლე გამოჩნდებაო.

იმედი გვაქვს მუშურ-გლეხური ხელისუფლება მიაქცევს სათანადო ყურადღებას ამ ვაჟბატონის მოქმედებას, მის ძალმომრეობა-თავგასულობას და გამოვა 21 კომლი გლეხობის დამცველათ. უზნაძეების დრო, როცა ისინი სჩაგრავდენ სოფელს, კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა.

ბუჯისპირელი.

ვინ ასწავლის ჭკუას თავხედ მალალძეს

31 ივლისის თარიღით გაზ. „კომუნისტის" № 173-ში მოთავსებული იყო წერილი ს. დიღმის ალმასკომის მდივნის პავლე მალალძეს შესახებ. კორესპონდენტი „დიღმელი გლეხი" აღნიშნავდა ჩვენი მდივნის ლოთობას და გლეხებისადმი უდიერათ მოპყრობას.

ამ შენიშვნის შემდეგ მალალძე საჩქაროთ იქნა გადაყენებული და მისი მოადგილე დღეს წესიერათ ასრულებს თავის მოვალეობას.

მალალძემ ეს „შეურაცხყოფა" ასე ადვილად ვერ მოინელა. 23 აგვისტოს, ღვინით გალეშილი მალალძე გაექანა ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოს გამგე დათიკო მამუჩაშვილის ბინისაკენ ლანძღვა-გინებით და იარაღით ხელში. „ის კორესპონდენცია მაგის დაწერილი იქნება, უნდა მოუსპო მას სიცოცხლეო—ყვიროდა მალალძე.

დამსწრე გლეხობამ რის ვაი-ვაგლახით შეაჩერა გამხეცებული მალალძე. საკითხავია ერთი რამ, თუ მალალძე მოხსნეს თანამდებობიდან, რაღათ დაუტოვეს მას იარაღი? იმისათვის ხომ არა, რომ მან ანგარიში გაუსწოროს ყველას, ვისზედაც ეჭვს მიიტანს და თავის პატიოსან გვამის მტრად მოეჩვენება?

მაყურებელი.

უმოქმედო თემალმასკომი

ბანძაში დიდი ხანია განზრახულია ტეხნიკუმის აგება; მაგრამ ალმასკომის უმოქმედობის გამო, ვერ იქნა მოგვარებული ეს საქმე. თეატრის აშენების შესახებაც კარგა ხანია მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს. ალმასკომი აქაც დიდ პასიურობას იჩენს.

ხელმომჭირნეობა, რასაკვირველია, კარგია და ჩვენც უნდა ვეცადოთ მუშების და გლეხების გროში უთავბოლოთ არ გავფლანგოთ, მაგრამ რაღა მაინცდამაინც საზოგადო საქმის გაკეთების დროს იჩენს ალმასკომი ხელმოკლეობას?

უბედურება სწორეთ იმაშია, რომ დაიწყებენ თუ არა რაიმე საზოგადო დაწესებულების აგებას, მაშინვე ადგილობრივ ამხანაგთა შორის თავს წამოყოფს კუთხური პატრიოტიზმი. ამ რამდენიმე ხნის წინად დაიწყეს საბჭოთა თეატრის აგება, ამის გარშემო ჯგუფებმა მობილიზაცია გაუკეთეს თავიანთ ცოცხალ ძალებს, ყველას სურდა ეს თეატრი აგებული ყოფილიყო თავის კარებთან, და თუ რომელიმე ჯგუფი დამარცხდა ამ ბრძოლაში, ის შემდეგშიაც განაგრძობ, მუშაობას დაწყებულ საქმის ჩასაშლელათ.

საავადმყოფოს აშენებაზე მიდგება საქმე და ყველას თავის ეზოსთან უნდა მისი გაშენება. სანიტარული პირობები არ არის დაცული, თუმცა სანიტარული კომისიის წევრებმა დიდი ხანია ამის შესახებ მიმართა ალმასკომს. ღორების თავისუფალი თარეში მოსვენებას არ აძლევს კვირა-უქმე დღეებში მშვიდობიან მცხოვრებლებს.

საინტერესოა ვიცოდეთ, როდის გამოიღვიძებს ალმასკომი და თავის საზრუნავ საგნად გაიხდის ყოველივე ზემო აღნიშნულის სათანადოთ მოგვარებას.

ქ. პატარაია.

წერილებიდან

ნუ დაივიწყებთ შენობას. საგარეჯოში ამ ზაფხულზე ძალიან ხშირათ იმართება იუბილეები და ბენეფისები. შემოსავალი სხვადასხვა დანიშნულებას ხმარდება და კერძო პირთა სასარგებლოთაც მიდის. ამავე დროს თეატრის შენობა უმწეო მდგომარეობაშია. ნუ დაივიწყებთ კულტურის ამ მნიშვნელოვან კერასაც. მეტი ყურადღება თეატრის შენობას.

ივ. დრიძე.

ლოთი ფერშალი. ზუგდიდის მაზრაში არის კოკის თემი. ამ თემშია ფერშალი ჩიქავა, რომელიც დიდი მტერია მაგარი სასმელების. დაინახავს თუ არა მათ, მაშინვე თავის ფაშის მსხვერპლათ უნდა აქციოს. ამის გამო ის ხშირათ მხიარულ გუნებაზეა. ცოლი ძალიან ებრძვის ქმრის ასეთ მხიარულ ხასიათს, მაგრამ ვერას გახდა. ლოთი ფერშალი არც თავს არგია და ავათმყოფსაც სიკეთეს ვერ დააყრის.

გლეხკორი **იგდანი.**

დააჩქარეთ გასამართლება. ლეჩხუმის საფინანსო განყოფილებაში ბევრი ბოროტმოქმედება იყო აღმოჩენილი. გაიფლანგა 2.800 მანეთი სახელმწიფო ფული ეძლეოდა სესხად კერძო ვაჭრებსა და სხვა. დამნაშავენი მოხსნილი არიან თანამდებობიდან და პასუხისგებაშიც იმყოფებიან. მაგრამ საქმეს დასასრული არ უჩანს. ერთი ბოროტმოქმედთაგანი, ნადირაძე, ეხლაც თავისუფლად დასეირნობს ცაგერში და გულში ხელს ირტყამს, რომ მხოლოდ 2800 მანეთის მითვისება შესძლო და არა მეტის. სულერთია მაინც ეს დღე მომელოდაო ამბობს ის. ხალხის ქონების გამფლანგველთა ამდენი ხნით საკადრისათ დაუსჯელობა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს გლეხებზე.

ხვამლი.

უნდა მოწესრიგდეს სიმინდის მოწოდება. კულაშის თემის გლეხკომმა გაყიდა 300 ფუთამდე სიმინდი 75 კაპ. ფუთი, ეხლა-კი, როცა სოფელი საჭიროებს სიმინდს და ღარიბი გლეხობა უკანასკნელ ძროხას ყიდის და ფუთ სიმინდში სამნახევარ მანეთს აძლევს, ვერც გლეხკომი, ვერც სამტრედიის ეპო და ვერც ადგილობრივი სამეურნეო ამხანაგობა „წინსვლა", ვერ პოულობს სიმინდის საკმაო რაოდენობას და სოფელი ჩარჩებს უვარდება ხელში. მაზრამ უნდა მიაქციოს ასეთ მდგომარეობას ყურადღება.

ი. ჭახნაკია.

ცოტა საჭმელი, ბევრი ღვინო. გლეხკომმა გახსნა სასადილო. მაგრამ წვნიანი შიგ არაფერი მოიპოვება. ერთი ოყა ხმელი ტარანი გამოულეველად ჰკიდია შიგ. სამაგიეროთ ღვინო ბლომათაა. არც სისუფთავე არის მაინცადამაინც დაცული ექიმს და სანიტარულ კომისიას სძინავს.

ეს ყველაფერი ხდება ს. გომში, რომელიც სამტრედიის რაიონშია.

მთიელი.

მოქეიფე მდივანი. თერჯოლის თემალმასკომის მდივანი ვ. ნეფსიწვერიძე ქეიფს და აყალ-მაყალს უფრო ანდომებს დროს, ვიდრე თავის მუშაობას. იყო შემთხვევა, როცა მეზობელ სოფელში, ღვანკითში, მან დილამდი იქეიფა, ჩხუბი ასტეხა და ჭურჭლები დაამტვრია. მეორე დღეს სამსახურში არ მოსულა. მხოლოდ მესამე დღეს გამოცხადდა, ისიც დილის 11 საათზე

ფუთიანი.

სოფლის ქრონიკა

— **დიდი გვალვების** გამო ველისციხეში მდინარეები დაშრენ, რის გამო წისქვილები ველარ მუშაობენ. დიდი გასაჭირია აგრეთვე წყაროების დაშრობის გამო.

— **სააგარაკო სახლი.** სოც. დაზღვევის სამმართველო წყალტუბოში აგებს 30 ოთახიან სააგარაკო სახლს რომელიც დაჯდება 40—45 ათასი მან.

— **თელავის ახლოს,** გაწალოწარაში გაიხსნა ამბულატორია. სადაც მუშაობს 2 ექიმი.

— **წყალდიდობასთან ბრძოლა.** ოზურგეთის ალმასკომი შეუდგა მდ. ნატანებზე დამბებით გაკეთებას მოსალოდნელ წყალდიდობასთან საბრძოლველად.

— **გორის მაზრაში** არსდება სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო კომუნა.

— **მეჯვრისხევის გლეხებმა** დაადგინეს გააკეთონ ე. წ. იბურის ხევი ნიაღვრისაგან თავის დაცვის მიზნით.

— **ქვიშხეთის გლეხებმა** აღძრეს შუამდგომლობა რათა, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები გადაეცეს მათ საკუთარი საჭიროებისათვის.

— **გორის** სამალმასკომმა გადასდო 300 მან. მაზრის მილიციის საჭიროებისათვის.

სოფლის ფოსტა

ამხ. დ. ფერაძეს თქვენი წერილი, გადაეგზავნა „მშრომელ აფხაზეთის" რედაქციას.

„სურებელ ტეტიას". თქვენ მიერ ტრაპაიძის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების ქვლევა-ძიება ადგილობრივ უნდა მოხდეს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა რაიმე ჯილდო

კითხვა

მე ვმუშაობდი ა | კ. რკინის გზაზე შტატის სამსახურზე ცამეტი დღის განმავლობაში, რის შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მომაყოლეს შტატის შემცირებას; ამგვარად გამაგდეს ქუჩაში უგროშკაპეიკოდ ოჯახის პატრონი კაცი.

გთხოვთ მიპასუხოთ ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია მომცეს ანგარიშის გასწორების დროს გაუფრთხილებლობისათვის და გამოუყენებელი შვებულებისათვის სათანადო ჯილდო.

რკინისგზელი **ვანო.**

პასუხი

ადმინისტრაცია ვალდებულია მოგცეთ გაუფრთხილებლობისათვის ფულადი ჯილდო თქვენი თვიური ხელფასის ორი კვირის ჯამაგირის რაოდენობით (**იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 88, 89**). რაც შეეხება გამოუყენებელ შვებულების ჯილდოს, ასეთი თქვენ არ გეკუთვნით, რადგანაც თქვენ მუშაობდით ორ კვირაზე ნაკლები ხანგრძლივობით.

(**იხ. ა | კ. შრომის სახკომატის განმარტება № 70-ის მუხ. 14—1923 წ. 15 ოქტომბრიდან**).

მეკუთვნის თუ არა გაუფრთხილებლობისა და გამოუყენებელ შვებულების ჯილდო

კითხვა

მე ვმსახურობდი ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში ერთი თვის განმავლობაში; ვითვლებოდი შტატის მოსამსახურედ. ერთი თვის შემდეგ სრულიად ჩემთვის მოულოდნელად დამითხოვეს სამსახურიდან, ვითომდა შტატის შემცირების გამო. ადმინისტრაცია არ მაძლევს არც გაუფრთხილებლობის და არც გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდოს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მე ასეთები მეკუთვნის თუ არა და რა რაოდენობით.

გერასიმე **ნო—შვილი.**

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 88—89 თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ: 1) გაუფრთხილებლობისათვის ფულადი ჯილდო ნახევარი თვის თქვენი ხელფასის რაოდენობით, 2) თანახმად ამ.-კავკასიის შრომის სახკომატის განმარტება № 70-ის მუხ. 14-ისა 1923 წ.—15 ოქტომბრ. თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ ჯილდო გამოუყენებელი შვებულებისა პროპორციონალურად იმისა, თუ რამდენე დღე მუშაობდით თქვენ ფაქტიურად.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა:

მე ვცხოვრობ მე-11 სამილიციო უბანში, ბუფერნი შესახვევში სახ. № 13-ში, მაქვს დაქირავებული ერთი თვალი ოთახი სივრცით 20 კვად. არშინი, უსამზარეულოდ და უწყლოდ. ვართ ხუთი სული ცოლშვილით. სახურავიდან წვიმის დროს ჩამოდის წვიმა შეკეთება სჭირდება როგორც ზევით სახურავს, აგრეთვე იატაკსაც. ერთი წლის განმავლობაში ვიხდიდი თვიურად ოთხ მანეთს. ეხლა კი სახლის პატრონი არ ღებულობს ქირას და მომატებაც კი უნდა.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება რამდენი მეკუთვნის სახლის ქირა თვეში და ვალდებულია თუ არა სახლის პატრონი შეაკეთოს ჩემი ბინა.

ბინის ქირას არ ღებულობს სახლის პატრონი. სად შევიტანო ეს ქირა. ვარ კავშირის წევრი (წიგნაკი № 1283) და დაზღვეულიც. ჯამაგირს ვიღებ თვიურად ორმოცდა ხუთ მანეთს.

თამბაქოს ქარხნის მუშა **ვ. თებზაძე.**

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად იხდით თვითეულ კვადრატიულ არშინზე სამ კაპეიკს. თუ სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ მიიღებს, მოწმეები დაისწარით და ფული კი შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახ. კომისარის ანგარიშზე.

ბინის ან სახლის კაპიტალური რემონტი, (როგორიცაა სახურავის შეკეთება-შეღებვა, მთავარი კედლების, კიბეების, ჭერ-იატაკის შეცვლა-შეკეთება და სხ.) უნდა აწარმოვოს სახლის პატრონმა (თანახ. თბილ. ალმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება № 68-ის, მუხ. მე 2 1925 წ. 31 ივლისიდან).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 26 აგვისტოს, დილის 9 საათზე, თ. კ. შენობაში შესდგება

თ. კ. საორგ. კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრებისათვის და აგრეთვე დეპოს, მთავარ სახელოსნოების, „26 კომუნარების" და ტრამვაის უჯრედების კოლექტივთა მდივნებისათვის.

განყ. გამგის მაგ. კომახიძე.

ხუთშაბათს, 27 აგვისტოს, დილის 11 საათზე თ. კ. შენობაში მოწვეულია

თ. კ.-თან არსებულ სოფლად მუშაობის კომისიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კომისიის ყველა წევრებისათვის.

თ. კ. მდივანი **ასრიბეკოვი.**

— დღეს, 26 აგვისტოს, საღამოს 6 ს. მესამე რაიონის პარტკლუბში შესდგება კონფერენცია საშეფო საზოგადოებების ადგილობრივ გამგეობათა, რომელთაც შეფობა ჰყავთ აყვანილი ასურეთის თემის სოფლები.

დასწრება სავალდებულოა გამგეობათა ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

— საქ. კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტის სააღ. განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. პავლე პეტრუხინს მე-11-ტე რადიობატალიონიდან და ილია ალიოშინს გამოცხადდნენ თ. კ. სააღ. განმ. განყოფილებაში ამხ. ტოპაძესთან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში გაიმართება ქალთა ორგანიზატორების კრება ახალგ. ლენინურ კომკავშირის ქალიშვილთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

მდივანი **მელაძე.**

განცხადებები

გულ დაწყვეტილი დედ-მამა მარიამ დიმიტრის ასული და ნიკოლოზ მალაქიას ძე, დები ევდოსია და ლიზიკო და მეუღლე თამარი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, აგვისტოს 29-ს სოფ. კაკაბეთში (გარე-კახეთი) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ

ლადო მჭედლიშვილის

სულის მოსახსენებლად.

გიგა, რომანი, დათიკო, გიორგი და სამსონი, გულითადი მწუხარებით აცნობებენ მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი მეგობრის

სოლომონ ქორქოლიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება, სოფ. მაღლაკში 26 აგვისტოს.

ნ. 1639 1—1

ღრმად დამწუხრებული ცოლი ელისაბედი, შვილები ანა და ნიკოლოზი, ძმა გიორგი, ბიძაშვილი კაპიტონი, აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი

სოლომონ ქორქოლიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. მაღლაკში 26 აგვისტოს

ნ. 1639 1—1

გალაკტიონ ზურაბისძე გიორგობიანი, პელაგია დავლიანიძისა და მარიამ ალექსის ასული მესხი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 28 აგვისტოს დილის 11 საათზე გადახდილ იქნება წლის წირვა სოფელ სხვავაში (რაჭის მაზრა) და პარაკლისი ქალ. თბილისში წმ. ნინოს სახელობის სასაფლაოზე—პირველის მეუღლის და ვაჟიშვილის, მეორესი ქალიშვილის ვაჟიშვილითურთ და მესამესი მამიდაშვილის ვაჟიშვილითურთ—დედა-შვილის

ლიუდმილა (ლიზა) ივანეს ასულის და პატარა თეიმურაზ ზურაბისძის

გიორგობიანების

სულის მოსახსენებლად, მათი გარდაცვალების 1 წლის გამო.

2378 1—1

ლენინის თხზულებათა ხელის-მომწერლების საყურადღებოდ

ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

აცხადებს ყველა მათ საყურადღებოდ, ვინც

ლენინის თხზულებათა

სრულ კრებულზე ხელი მოაწერა და ავანსი შემოიტანა, შემდეგს:

სახელგამს ამჟამად დამზადებული აქვს გამოსაცემად რამდენიმე ტომი ლენინის თხზულებათა. მათი დაბეჭდვა დროებით შეჩერებულია, შემდეგი გარემოების გამო: ამ ჟამათ რუსეთში გამოდის ლენინის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ქართული თარგმანი შედარებული და შეთანხმებული უნდა იქნეს ამ აკადემიურ გამოცემასთან და მხოლოდ შემდეგ დაიბეჭდება.

ლენინის თხზულებანი გამოვა პერიოდულად და პერიოდულათვე დაურიგდება ყველა ხელისმომწერთ, რომელთაც ხვედრი გადასახადი შემოტანილი აქვთ.

ტომების გამოსვლის ვადა და ფულის შემოტანის წესი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნის. 1641. 2—1 **სახელმწიფო გამომცემლობა.**

ექიმი **გ. გოლდშტეინი**
იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—14

ექიმი **ალ. გ. მელაშვილი**
ბავშთა სნეულებანი.
იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—4 2153

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს
შემოდგომის გამოცდებისათვის უმაღლესს და საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს მოწაფეებს და მუშფაკელებს მათემატიკურ საგნებში. პლეხანოვის ქ. № 25 (ალექსის ქუჩიდან შესავალი № 5) 9—7 ს. 2287 3—3

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—22

ექ. **ა. ე. უზლანერ**
ვენერიულ, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. 25—4

ექიმმა **შუხმანმა**
განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში
საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ). 21—4

კბილის ექიმი **ფ. თ. რატიან თუხარელისა**
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—20

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**
საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.
1960 25—11

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**
ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის. 25—21

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 3. 25—23

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—4

ექიმი **გ. გ. მეჰრაბიანცი**
ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23. 25—14

ექიმი **ა. ს. ფონ-ირეცკი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი). შარდ-სასქესო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**
კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—3

მანგლისი
ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6-საათამდე. 25—9
ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

წაღვერი
მედიცინის დოქტორი ა. ა. მონ
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად). 25—17 1795

ბორჯომი
ექ. **ე. მ. მძინარიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს მისამართი:
როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17
ზოსინის აგარაკი.
15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდე. 25—4

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 25—18

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**
შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან. 25—16

დაკარგე პირადი წიგნაკი გაცემული ფოთის სამხ. მაგიდის მიერ (ფ. № 4) № 1007. ისიდორე პავლეს ძე გაბუნიას სახელზე. ჩ. გ. 2373 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ნოქალაქევის ალმასკომის მიერ თედორე ჩოგუნავას სახელზე. ჩ. გ. 2372 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ირაკლი კაპანაძეს სახელზე ჩ. გ. 2368 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1 არჩილ ქურწიკიძეს სახელზე. ჩ. გ. 2370 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი რაფიელ იაკობის ძე დავარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2379 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი № 839 გაცემული 1-ლი სამილიციო უბნიდან გრიგოლ ონისიმეს ძე სანიკის სახელზე. ჩ. გ. 2371 1—1

დაკარგე მოწმობა ლანჩხუთის ქალთა ტეხნიკუმის დამთავრებისა 1922 წ. № 57. ანასტასია ერმალოს ასული გიგინეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2375 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი გაცემული წინადლით საღრიცხვო მაგიდიდან № 1466 სიმონ გოგნიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2376 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი ფორმა № 4 მიღებული წითელ ქალაქის რაიალმასკომიდან 10 აგვ. 24 წ. № 1920 გიორგი აბრამის ძე თაბუაშვილის სახელზე. ჩ. გ. 237„ 1 1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი გაცემული ხაშურის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ, № 156 პარმენ ლეონტის ძე ყუფუნიძის სახელზე. ჩ. გ. 2380 1—1

ტირაჟი—20.047
„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4